# ალია

„ხრუშჩოვკები“ აღარ ინგრევა?



N38 2968/ 13 მარტი 2014 წ ფასი 70 თ

ორშაბათი ქრონიკა · სამშაბათი ალია · ოთხშაბათი ალია · ხუთშაბათი ალია · პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

გამოდის 1995 წლიდან

WWW.ALIA.GE


ექსკლუზივი

## ვინ გვისმენს ფარულად — „ნაცმოძრაობა“ თუ შსს?!



# გია ხუროშვილს იჭერენ?



## რა საბოტაჟში ამხილეს თბილისის მერია



# რა დოკუმენტების გამოქვეყნებას აპირებს ჯონდი ბაღათურია 15 მარტს?



## რატომ გადასცეს ალასანიას დაქვემდებარებული „დელტა“ ეკონომიკის სამინისტროს?



## კახა კუკავა თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობას აპირებს



ექსკლუზივი

# როგორ „იგულავა“ და რა თანხა დახარჯა უგულავას მერიის აპარატმა პირად კომფორტში



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველოს რუმინეთის პრემიერ-მინისტრი ეწვევა



14-15 მარტს საქართველოს რუმინეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ პონტა ეწვევა. ოფიციალური ინფორმაციით, რუმინეთის მთავრობის თავმჯდომარის ვიზიტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოწვევით შედგება.

ვიზიტის ფარგლებში რუმინელ სტუმარს ქართველი კოლეგა ირაკლი ღარიბაშვილი ჯერ პირისპირ, შემდეგ კი მთავრობის წევრებთან ერთად შეხვდება.

15 მარტს ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრები რაგბიში საქართველო-რუმინეთის თამაშს დაესწრებიან.

ვიზიტის ფარგლებში ვიქტორ პონტა შეხვედრებს გამართავს ასევე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილსა და პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან. გარდა ამისა, რუმინეთის პრემიერ-მინისტრი თბილისსა და მცხეთაში ღირსშესანიშნაობებსაც დაათვალიერებს. (ინტერპრესნიუსი)

## რუსეთს უკრაინის საზღვართან ჯარები გადაჰყავს



უკრაინის საგარეო უწყების საინფორმაციო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ევგენი პერებიინისის განცხადებით, რუსეთს უკრაინის საზღვართან ჯარები გადაჰყავს. „რუსეთი განაგრძობს ყირიმში სამხედროების რაოდენობას ზრდას. კონკრეტულად, შეინიშნება რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო ავიაციის აქტივობა. ასევე, ჯარებს აძლიერებს რუსეთ-უკრაინის საზღვრის სუმისა და ჩერნიგოვის მიმართულებით. ასევე გრძელდება რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და შავი ზღვის ფლოტის გადაადგილება ყირიმის მიმართულებით. გრძელდება ყირიმის შესასვლელში საფორტიფიკაციო ნაგებობებისა და ბლოკპოსტების მშენებლობა.

ამ ფონზე, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ანდრეი დეშიცამ განაცხადა, რომ დსთ და მისი მონაწილეები უკრაინის მოთხოვნაზე არ რეაგირებენ, რომელიც ყირიმთან დაკავშირებით საგანგებო სხდომის მოწვევას ითხოვს. ასეთ ვითარებაში ის დსთ-ში ყოფნის აზრს ვერ ხედავს. (ინტერპრესნიუსი)

## შალვა ფიფია პოლონეთის ელჩს შეხვდა



სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია პოლონეთის ელჩს საქართველოში, ანჟეი ჩიეშკოვსკის შეხვდა. მინისტრმა, სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების მთავარ პრიორიტეტებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული პროგრამები დარგის მაქსიმალურად სწრაფად განვითარებაზეა ორიენტირებული.

„პოლონეთში სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა კარგადაა განვითარებული. საქართველოს ამ მიმართულებით ძალიან დიდი პოტენციალი აქვს. თქვენი ქვეყანა მიმზიდველია ინვესტორებისთვის და ვფიქრობთ, ჩვენს ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა შედგება“, – განაცხადა ჩიეშკოვსკიმ.

„შეხვედრაზე აღინიშნა, რომ აპრილში დაგეგმილია პოლონეთის პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში. ვიზიტის ფარგლებში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საკითხები იქნება განხილული, მათ შორის სოფლის მეურნეობის სფეროშიც“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## ორთაჭალაში ავტოავარიას 45 წლის ქალი ემსხვერპლა




ორთაჭალაში ავტოავარიის შედეგად 45 წლის ქალი გარდაიცვალა. საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს ცნობით, რუსთავის მიმართულებით მოძრავი „მიცუბიშის“ მარკის ავტომობილი ბეტონის გადამზიდ მანქანას შეეჯახა. შედეგად მსუბუქ ავტომანქანაში მყოფი 45 წლის ქალი გარდაიცვალა. ადგილზე გამოძახებული იყვნენ სააგენტოს მაშველები, რომლებმაც გარდაცვლილის ცხედარი დაზიანებული მანქანიდან ამოიყვანეს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



# გია ხუროშვილს იჭერენ?

11 მარტს საბურთალოს რაიონის გამგეობის არსებული სათათბიროს წევრები ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაკითხვაზე დაიბარეს. საბურთალოს გამგებელი გია ხუროშვილი, საკრებულოს სარევიზიო კომისიის დასკვნას ეჭვქვეშ აყენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა სათათბიროს წევრების დაკითხვაზე დაბარება. ხუროშვილი აცხადებს, რომ სარევიზიო კომისიის დასკვნა გაყალბებულია, რადგან ის საიდენტიფიკაციო კოდი, რომელიც სარევიზიო კომისიამ შეამოწმა, ეკუთვნის არა გამგეობას, არამედ რომელიღაც შპს „სტამბას“. ხუროშვილის თქმით, დასკვნა პოლიტიკურად მოტივირებულია და გაყალბებულია, ამიტომ ის საკრებულო სარევიზიო კომისიის წინააღმდეგ საჩივარს ამზადებს და ფინანსურ პოლიციას მოუწოდებს, შეწყვიტოს ყალბი დასკვნების საფუძველზე მოქალაქეების დაბარება. ძიება დაწყებულია და ალბათ, მალე გავიგებთ, დაიჭერენ თუ არა გია ხუროშვილს.

**სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, მიხეილ ქავთარაძე გია ხუროშვილის ბრალდებებს პასუხობს:**

– ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების წახალისების წესი ითვალისწინებს ამხანაგობების თავმჯდომარეების კვარტალში ერთხელ 375 ლარის წახალისების მიზნით გაცემას. თავის დროზე ეს იყო პარტიული ნიშნით გამოყენებული, პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე და გამგებელი ერთად გადიოდნენ ამხანაგობების თავმჯდომარეების სიებს, შესაბამისად, ვინც უფრო ლოიალური იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, იმ ადამიანებს აფინანსებდნენ და შემდგომ უკვე მათ საარჩევნო კამპანიაში იყენებდნენ. ჩვენ ეს თემა გავაჩერეთ შარშან ზაფხულში, რადგან ყველა უნდა იყოს თანაბარ პირობებში ჩაყენებული, ის ამხანაგობების თავმჯდომარეებმა, რომლებიც აკეთებენ საქმეს, ყველამ უნდა მიიღოს თანაბრად წახალისება. მათ ჰქონდათ უფლება, სათათბირო ორგანო შეექმნათ, მაგრამ დაფინანსება არ უნდა მომხდარიყო. ხუროშვილმა შექმნა სათათბირო ორგანოები ამ ტერიტორიულ ერთეულზე, საბურთალოს რაიონში და 2013 წლის დეკემბერში სათათბიროში გაერთიანებულ ადამიანებს მისცა 750 ლარი, პლუს 375 ლარი წახალისების მიზნით. ეს თანხა დარიგდა 112 ადამიანზე. ჩვენი გონივრული ეჭვით, ეს ხალხი პარტიული აქტივია. ეს ადამიანები ცდილობენ, რომ მათი კორუფციული საქმიანობა გადაიყვანონ პოლიტიკურ ჭრილში. ჩვენ დავსვით კითხვა, რატომ მისცეს ამ ადამიანებს განსხვავებული წახალისებები – 750 ლარი, პლუს 375 ლარი? ჯამში, 850 ათასი ლარი გადაირიცხა ამ 112 კაცზე ბიუჯეტიდან. ეს არის პარტიული აქტივი და ამას ჩვენ ვადასტურებთ. ესენი იყვნენ საარჩევნო კომისიაში, ესენი იყვნენ უბნის უფროსები და კოორდინატორები. შესაბამისად, ჩვენ მივმართეთ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს და ბუნებრივი პროცესი დაიწყო.

**— როგორ ფიქრობთ, გამოძიება ხუროშვილის კვალზე გავა? ექნებათ თუ არა სამართალდამცავებს მასთან კითხვები?**

– ეს არის გამოძიების პრეროგატივა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბიუჯეტო თანხები არამიზნობრივად არის გადარიცხული.

**— გამოძიების დასრულებამდე როგორც მინიმუმ, შეუწყდება თუ არა გამგებელ ხუროშვილს უფლებამოსილება?**

– გამოძიება დაიწყო, ადამიანები იკითხებიან. რაც შეეხება ხუროშვილს, უფლებამოსილება მას ან სასამართლომ უნდა შეუწყვიტოს, ან მერიის მოვალეობის შემსრულებელმა. საკრებულოს რომ ამის უფლება ჰქონდეს, ჩვენ აუცილებლად შევუწყვეტდით უფლებამოსილებას, რადგან ეს არის სერიოზული გადაცდომა. რა კვალიფიკაციას მისცემს გამოძიება, ერთად მივადევნოთ თვალი. შემოწმების პროცესში განმარტება ვერ მივიღეთ გამგეობის წარმომადგენლებისგან, თუ რა პრინციპით იქნა განსაზღვრული სათათბიროს წევრთა ოდენობა, ცალკეული ტერიტორიული ერთეული, უბნების მიხედვით სათათბიროს წევრთა რაოდენობა. გამგეობას, რა თქმა უნდა, შეუძლია შექმნას სათათბირო, მაგრამ არსად არ წერია, რომ ეს არის დაფინანსებადი.

**— ხუროშვილი აცხადებს, რომ სარევიზიო კომისიის დასკვნა არის გაყალბებული.**

– ხუროშვილს ხელზე იცით, რა აქვს დახვეული? მოხდა ტექნიკური შეცდომა... როდესაც ჩვენ დასკვნებს ვწერთ, ერთ პირს ვუგზავნით შესამოწმებელ ობიექტს, იქ 7 მარტის მაგივრად წერია 10 მარტი. ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგან შინაარსი არ იცვლება. დასკვნა დაიდო ერთ დღეში. 2013 წლის დეკემბრის გადარიცხვებია შემოწმებული, დასკვნა მომზადდა 2014 წლის 7 მარტს. ამ დეტალებს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ფაქტი ერთია, რომ ხდებოდა საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივად გამოყენება. ეს არის გამგეობიდან ამოღებული დოკუმენტაციის საფუძველზე მომზადებული აქტი. პოლიტიკური განცხადებების განვლად, გასცენ სამართალდამცავ სტრუქტურებს პასუხი, თუ რა მიზნით, როგორ და რატომ ხდებოდა საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივად გამოყენება. ჩვენ დასკვნაში დავწერეთ, რომ ხელოვნურად არის საბიუჯეტო თანხები გაზრდილი, გამგეობის მიერ მოწოდებული მასალებიდან დგინდება, რომ საბურთალოს რაიონის გამგეობაში სათათბირო ორგანოს შექმნა არ განაპირობა რაიონისთვის დამატებითი შედეგის და სარგებლის მოტანამ, არამედ პირიქით, ხელოვნურად გაიზარდა ბიუჯეტის ხარჯები, ხელფასი-წახალისების სახით, რომლის უკანაც დადებითი შედეგი არ დაფიქსირებულა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ანალოგიური ფუნქცია-მოვალეობები ისედაც სრულდება და ისედაც ევალებათ გამგეობის სხვა სამსახურებს.

**— თქვენი ინფორმაციით, „ნაციონალმა“ გიორგი ვაშაძემ, ვინც ე.წ. ახალგაზრდულ ფრთას წარმოადგენს „ნაცებში“, მოხსნა თავისი კანდიდატურა უგულავას კანდიდატის, მელიას სასარგებლოდ. ამბობენ, დიდი დაპირისპირების გამო გადაწყდა ასეო, მართალია?..**

– ვაშაძემ თავისი კანდიდატურა მერობის პოსტიდან იმიტომ მოხსნა, რომ ძალიან კარგად იცოდა, არჩევნებს აგებდა. „ნაციონალებისგან“ ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ გიგი უგულავამ თავის დროზე დაავალა გამგეობის და მერიის თანამშრომლებს, რომ პრაიმერისის დროს მათ ემუშავათ მელიას სასარგებლოდ. ჩვენ ვიცოდით, რომ გიგი უგულავას მიერ დაკომპლექტებულ დელეგატებს ყრილობაზე მხარი უნდა დაეჭირათ მელიას კანდიდატურისთვის. იქ მიდის შიდაპარტიული ბრძოლა პირველობისთვის, ვაშაძე ნამდვილად არ აწყობდა გიგი უგულავას. მელია მისთვის კონტროლირებადი და მისაღები ადამიანია, მის მიერ დანიშნული გამგებელია. ვაშაძე კი მეტნაკლებად დამოუკიდებელი მოთამაშეა, აპირებდა რეფორმების გატარებას. იცოდეთ, უგულავა მართვის სადავეებს ასე ადვილად არ დათმობს, მას არც ის აწყობდა, რომ ვაშაძე მეორე ადგილზე გასულიყო არჩევნებზე და დამოუკიდებელ ფიგურად ჩამოყალიბებულიყო თბილისის რეალობაში. ვაშაძემ კარგად იცოდა, რომ ნიკა მელიაზე მუშაობდა უგულავას რესურსი, ამიტომაც მოხსნა კანდიდატურა.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „დიდი შვიდეული“ რუსეთს აფრთხილებს



„ჩვენ, კანადის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის ლიდერები და ევროსაბჭოსა და ევროკომისიის პრეზიდენტები, მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს ყველა ძალისხმევა ყირიმის სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებით, რომელიც უკრაინისა და საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევაა. მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ყირიმის რეფერენდუმის მხარდაჭერა მისი სტატუსის თაობაზე, რაც უკრაინის კონსტიტუციის პირდაპირი დარღვევაა“, – ნათქვამია „დიდი შვიდეულის“ ლიდერების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე გავლენის გარდა, ყირიმის ანექსიას სერიოზული შედეგები შეიძლება ჰქონდეს სამართლებრივ სისტემაზე, რომელიც ყველა სახელმწიფოს ერთიანობასა და სუვერენიტეტს იცავს.

„თუ რუსეთის ფედერაცია მაინც გადადგამს ასეთ ნაბიჯს, ჩვენ მივიღებთ შემდგომ ზომებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## ქუთაისის სპორტის სასახლიდან 12 თანამშრომელი გაათავისუფლეს

ქუთაისის სპორტის სასახლიდან თანამშრომლები გაათავისუფლეს. სასახლის ახალმა ადმინისტრაციამ 12-მდე თანამშრომელს ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი განუცხადა. განთავისუფლებულთა შორის არის დაწესებულების დირექტორი დავით ბახტაძე. როგორც ბახტაძემ განაცხადა, განთავისუფლების შემდეგ თანამშრომლებს ხელახალ დანიშვნას ჰპირდებოდნენ, თუმცა საბოლოოდ მოატყუეს.

„განთავისუფლების შემდეგ 12 თანამშრომელს თავიდან გადანიშვნას ჰპირდებოდნენ, თუმცა უარი უთხრეს. როგორც აღმოჩნდა, ოფიციალურად 21 თებერვალს გაგვიშვეს სამსახურიდან, თუმცა ამის შესახებ არაფერი ვიცოდით“, – აცხადებს ბახტაძე. (ინტერპრესნიუსი)

## უსახლკაროთა თავშესაფრების მონიტორინგი გრძელდება

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ უსახლკაროთა თავშესაფრების მონიტორინგს განაგრძობს. ორგანიზაციის წევრები თავშესაფრებში არსებულ მდგომარეობას თბილისსა და გორში დეტალურად კიდევ ერთხელ გაეცნენ და მობინადრეებს პირადად გაესაუბრნენ. ორგანიზაციის ინფორმაციით, გორის თავშესაფარი, ასევე გორის გამგებელმა პაპუნა კობერიძემ, ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა და გორის სოციალური სამსახურის უფროსმა მოინახულეს და უსახლკაროების მდგომარეობას ადგილზე გაეცნენ.

„როგორც მონიტორინგის შედეგად გახდა ცნობილი, კარვებში მცხოვრები მობინადრეები კვებითა და სხვა არსებული პირობებით კმაყოფილები არიან, თავშესაფარი მარაგდება ყველა იმ აუცილებელი მედიკამენტით, რომელიც უსახლკაროებს ესაჭიროებათ, ასევე პერიოდულად კარვებში ტარდება დეზინფექცია. თუმცა თავშესაფარში არსებობს პრობლემები, რომელიც უამინდობის გამოა გამოწვეული, მობინადრეებს წვიმის შედეგად კარვებში შესული წყალი აწუხებთ“, – ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)



# კახა კუკავა თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობას აპირებს

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ მხარდაჭერით ჩატარდა გამოკითხვა კითხვაზე: „თბილისის მერობის რომელ კანდიდატს დაუჭერთ მხარს ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში? ლიდერობს „ნაციონალური მოძრაობა“ ნიკა მელია – 36,6%; დავით ნარმანია – 28,4%; კახა კუკავა („თავისუფალი საქართველო“) – 13%; დავით თარხან-მოურავი („პატრიოტთა ალიანსი“) – 3%; შალვა ნათელაშვილი („ლეიბორისტული პარტია“) – 2,6%; გიგლა ბარამიძე („დემოკრატიული მოძრაობა“) – 1,4%.

**კომენტარისთვის „ალია“ დაუკავშირდა „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერს, კახა კუკავას:**

**— რა პრინციპით არის მერობის კანდიდატთა სია შედგენილი და რამდენად უნდა ვენდოთ „პრაიმერის.გე“-ზე გამოქვეყნებულ მონაცემს?**

– ამ საიტის ძირითადი მიზანი არ არის გამოკითხვა, არამედ ძირითადი მიზანი არის ის, რომ საზოგადოებას ინფორმაცია ჰქონდეს კანდიდატების შესახებ. ეს საიტი შექმნილია თვითონ „პრაიმერისის“ პოპულარიზაციისთვის. რაც შეეხება ინტერნეტგამოკითხვას, ბუნებრივია, სოციოლოგიასთან საერთო არაფერი აქვს, რა თქმა უნდა, სიზუსტეზეც პრეტენზია ვერ ექნება, თუმცა გარკვეულ ტენდენციებს ასახავს. რეალურად ეს აჩვენებს, ვინ რამდენად მობილიზებულია, ვიდრე რეიტინგებს. ნიკა მელიას მაღალი რეიტინგი ნიშნავს, რომ მან ბევრი ადამიანი დარაზმა, მხარი დაეჭირათ მისთვის და ორგანიზება გაუკეთა ამ გამოკითხვას. პარტიულ გამოკითხვებში ლიდერობს „ქართული ოცნება“.

**— აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ გამოკითხვაში თქვენც ფიგურირებთ. ქალაქის მერის პოსტზე აპირებთ კენჭისყრას?..**

– დიახ, ვაპირებ, პარტიაში ეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილია, მე ვფიქრობ, ჩვენ საბოლოოდ ორშაბათს გამოვაცხადებთ გადაწყვეტილებას.

**— ორი დღის წინ „ქართული დასის“ ლიდერმა, ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, რომ თქვენს პარტიასთან ერთად აპირებს კოალიციის შექმნას, ამ დროისთვის დაახლოებით 4 პარტია თანხმდება კოალიციურ ფორმატზე და დასახელდება მერობის საერთო კანდიდატი. ეს განცხადება შეთანხმებულია ჯონდი ბაღათურიასთან?**

– ჩვენ, რა თქმა უნდა, განვიხილავთ კოალიციის შექმნის თემას, მაგრამ ეს პროცესი ცოტა გაჭიანურდა, იმის გამო, რომ ჩვენი პარტნიორი არასაპარლამენტო პარტიები, ჯერჯერობით ამ საკითხზე პრინციპულად ვერ ჩამოყალიბდნენ, ჩვენ არ ვიცით, მათ რა უნდათ, როგორ წარმოუდგენიათ ერთობა, ამიტომ, ამის გამო რომ ჩვენ არ შევაფერხოთ საარჩევნო კამპანია, ვთქვით, რომ ჩვენ, „თავისუფალი საქართველო“, ყველა შემთხვევაში ვმონაწილეობთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში და ჩვენი კანდიდატურაც გვეყოლება. ადრე თუ გვიან, არასაპარლამენტო პარტიები თუ ჩამოყალიბდებიან, რომ ისინი მზად არიან საარჩევნო ბლოკის შესაქმნელად, ჩვენ მზად ვართ ნებისმიერ შეთავაზებაზე. ჩვენ სირთულეებს არც კანდიდატთან დაკავშირებით შევქმნით და არც სხვა საკითხში.

**— თუკი ოპოზიცია მოახერხებს გაერთიანებას და თბილისის მერობის სხვა კანდიდატზე შეთანხმდებიან, მოხსნით თქვენს კანდიდატურას?**

– რა თქმა უნდა, მოვხსნი.

**— არადა, ორი დღის წინ ჯონდი ბაღათურია გვიმტკიცებდა, ფაქტობრივად, ერთობა შემდგარია და თბილისის მერობის ორ სავარაუდო კანდიდატზე ვმსჯელობთ და აქედან, ერთ-ერთს დავასახელებთ ძალიან მალეო. თქვენ გიგულისხმათ ერთ-ერთში თუ?..**

– არ ვიცი, ალბათ, ჯონდი ბაღათურია გელაპარაკათ თავისი პოზიციიდან გამომდინარე. ეს კოალიცია არ არსებობს, სხვადასხვა პარტიებში მიდის კანდიდატების განხილვა, ეს არის კულუარული პროცესი. ჩვენ არასაპარლამენტო ოპოზიციას იმიტომ შევთავაზეთ პრაიმერისი, რომ ეს არის საჯარო პროცესი, კანდიდატის შერჩევა იქნებოდა უფრო დემოკრატიული და გამჭვირვალე, მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოში ოპოზიციური პარტიები პრაიმერისს მაინცდამაინც მეგობრულად არ უყურებენ.

**— როგორც ჩანს, ოპოზიციაში ერთობა ვერ მოხერხდება, რითაც „ნაციონალებს“ კიდევ მისცემთ იმის შანსს, რომ მეორე ადგილზე გავიდნენ. რატომ გყავთ მოხსენიებული გამოკითხვაში შალვა ნათელაშვილი, თარხან-მოურავი? დადასტურებულად იცით, რომ მერის არჩევნებში მონაწილეობენ?**

– პირადად მე, გაერთიანების პროცესს არ ვაფერხებ. რაც შეეხება შალვა ნათელაშვილს, ის წინა არჩევნებში იყო მერობის კანდიდატი და ყოველთვის, როცა არის არჩევნები, ნათელაშვილი თავის კანდიდატურას აყენებს... რაც შეეხება თარხან-მოურავს, ეს აზრი მუსირებს და ამიტომაც შევიყვანეთ გამოკითხვაში. რაც შეეხება „დამოკრატიული მოძრაობის“ კანდიდატს გიგლა ბარამიძეს, ეს არის არაოფიციალური ინფორმაცია, ჯერ ბურჯანაძეს ოფიციალურად მერობის კანდიდატი არ გამოუცხადებია, მაგრამ საიტის ადმინისტრაციამ რა ინფორმაციაც მოიპოვა, თუ რომელი კანდიდატურები განიხილებიან, ის ინფორმაცია დევს...

**— დაბოლოს, ამ გამოკითხვის მიხედვით 13% გაქვთ. რა აზრი აქვს არჩევნებში თქვენს მონაწილეობას?**

– ამ გამოკითხვას სიზუსტის პრეტენზია არ აქვს, საარჩევნო კამპანია ახალი დაწყებულია, თანაც თუ აკვირდებით, ამ გამოკითხვაში 50% არც ერთ კანდიდატს არ უფიქსირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ იქნება მე-2 ტური.

**— თქვენ ორიოდე კვირის წინ განაცხადეთ, რომ „ქართული ოცნებიდან“ გაქვთ ინფორმაცია, ნარმანიას კანდიდატურას მოხსნიან და „ოცნება“ სხვა კანდიდატურით ჩაანაცვლებსო... ამას მოჰყვა ნარმანიას კატეგორიული უარი. როგორ ფიქრობთ, დღემდე მუშაობს ეს საკითხი? თქვენი გამოკითხვით, ნარმანიას 28,4% აქვს, „ნაც-მოძრაობის“ კანდიდატს ნიკა მელიას კი — 34.6%.**

– მივესალმები, თუ ნარმანია კანდიდატურას არ მოხსნის. საარჩევნო კამპანია როცა დაიწყება, ზუსტად ვიცი, რომ „ოცნებას“ კიდევ ერთხელ მოუწევს კანდიდატურის გადახედვა. სხვა შემთხვევაში „ოცნება“ თბილისს წააგებს. თუ ნარმანიას კანდიდატურას დატოვებენ, გარწმუნებთ, რომ ოპოზიციას გაუადვილდება თბილისის მოგება. კოალიცია „ქართული ოცნება“ იმის იმედზეა, რომ ადმინისტრაციული რესურსით შეძლებენ არჩევნების გაყალბებას და როგორც ისინი იძახიან, სასურველი შედეგის მიღებას. მე ვფიქრობ, ეს გზა მათთვის დამღუპველია, წინ გვაქვს უკრაინის მაგალითი. გრძელვადიან პერსპექტივაში ასეთი მეთოდებით არჩევნების მოგება არის წამგებიანი.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

## ბიზნესმენებმა პარლამენტს ეკონომიკური დეკლარაცია შესთავაზეს

დეკლარაცია 12 პუნქტისგან შედგება და მასში ჩამოთვლილია პრინციპები, რაც, ბიზნესმენთა აზრით, ეკონომიკური პოლიტიკის გატარების საქმეში ხელისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები უნდა გახდეს.

„ერთი შეხედვით ეს პრინციპები ძალიან მომეწონა. მასში ყველა ის თემაა, რასაც კოალიცია „ქართული ოცნება“ ეხმიანება. ამასობაში, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დეკლარაცია იქცეს პარლამენტსა და ბიზნესასოციაციის შორის ურთიერთობის საფუძვლად – როცა რაიმე კანონპროექტს მივიღებთ, ყველა პროექტი დეკლარაციის ფილტრში გატარდეს“, – განაცხადა უსუფაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ზურაბ წერეთელი პეტიციაზე ხელმოწერას უარყოფს



ზურაბ წერეთლის თანაშემწე კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას, თითქოს ცნობილმა მოქანდაკემ, ყირიმში, რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის ქმედებების მხარდამჭერ პეტიციას მოაწერა ხელი. სერგი შაგულაშვილის განცხადებით:

„ბატონი ზურაბი საერთოდ არ ერევა პოლიტიკაში, არასდროს და არსად. ის არც ერთ პოლიტიკური შინაარსის დოკუმენტს არ აწერს ხელს. არც ამაზე მოუწერია ხელი“, – განაცხადა შაგულაშვილმა.

კითხვაზე, როგორ ახსნის იმას, რომ ზურაბ წერეთლის სახელი და გვარი მოხვდა პეტიციაში, რომელიც რუსეთის კულტურის სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა, შაგულაშვილმა აღნიშნა, რომ ზურაბ წერეთელი კულტურის სამინისტრომ შეიყვანა სიაში, თუმცა მას ამ დოკუმენტზე ხელი არ მოუწერია. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შაშკინს ბიზნესის წართმევაში ადანაშაულებენ



შპს „კავკასიის აკადემიური ცენტრის“ დამფუძნებელი, დავით ცეცხლაძე განათლებისა და მეცნიერების ყოფილ მინისტრს, დიმიტრი შაშკინს ბიზნესის წართმევაში ადანაშაულებს. ცეცხლაძის განცხადებით, დიმიტრი შაშკინმა კანონსაწინააღმდეგოდ გააუქმა „კავკასიის აკადემიურ ცენტრზე“ 5 წლის ვადით გაცემული გრიფირება და 2011 წლის 1-ელ მარტს სასკოლო სახელმძღვანელოებზე „ფორმალური“ გრიფირება გამოაცხადა. გრიფირების გამოცხადებამდე შაშკინი ბრიტანეთში ჩავიდა, სადაც მემორანდუმი ბრიტანულ კომპანია „მაკმილანთან“ გააფორმა.

„მაკმილანთან გარიგებისას შაშკინის მთავარი მოთხოვნა იყო, რომ მხოლოდ მისი ლობირების ქვეშ მყოფი კომპანია „ინგლისური წიგნი საქართველოში“ ყოფილიყო წიგნების ერთადერთი ექსპორტიორი“, – აღნიშნა ცეცხლაძემ.

მისი თქმით, შაშკინის მიერ 2011 წლის 1-ელ მარტს გამოცხადებული სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების გამარჯვებული წინასწარ იყო ცნობილი. მისივე განცხადებით, გრიფირების მინიჭების სანაცვლოდ შაშკინმა კომპანიის 33% და 50 000 აშშ დოლარი მოითხოვა, რაზეც უარის მიღების შემდეგ, კომპანიის წინააღმდეგ ზურაბ ადეიშვილთან და ვანო მერაბიშვილთან ერთად პროვოკაცია დაგეგმა.

„გრიფირების გამოცხადებისთანავე ყოფილმა მინისტრმა შაშკინმა ზურაბ ადეიშვილთან და ვანო მერაბიშვილთან ერთად „კავკასიის აკადემიური ცენტრის“ წინააღმდეგ პროვოკაცია დაგეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა გრიფირებისას კონკურენტის ჩამოშორებას. გრიფირების დასრულებამდე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა გაყალბებული, შეთითხნილი ბრალდებით დამაკავა. „კავკასიის აკადემიური ცენტრის“ სრული განადგურების მიზნით კი, შაშკინმა ბოროტად გამოიყენა უფლებამოსილება და პირადი მიზნებიდან გამომდინარე, უკანონოდ წაართვა „კავკასიის აკადემიურ ცენტრს“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია და ასობით სტუდენტი სხვა უმაღლეს სასწავლებლებში გადაიყვანა“, – განაცხადა ცეცხლაძემ. მან 2012 წელს პროკურატურას მიმართა და ამ დროისთვის მას ინფორმაცია აქვს, რომ საქმეზე გამოძიება პრაქტიკულად დამთავრებულია.

როგორც ცეცხლაძემ აღნიშნა, მას საფუძვლიანი ეჭვი აქვს, რომ „შაშკინის მფარველობის ქვეშ“ მყოფი კომპანია „ინგლისური წიგნი საქართველოში“ არის მონოპოლისტი და კომპანიას დღევანდელ ხელისუფლებაშიც ჰყავს მფარველი. მისთვის ცნობილია კონკრეტული პირების სახელები, რომლებიც ამ კომპანიას ლობირებენ, თუმცა ამ ეტაპზე მათი დასახელება არ სურს.

„თუ უმოკლეს ვადაში არ იქნება ცნობილი გამოძიების დეტალები, მაშინ საზოგადოებასა და მედიას გავუმჟღავნებთ მათ ვინაობას“, – აღნიშნა დავით ცეცხლაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## „არეულობის მოწყობისთვის გივი თარგამაძემ უდალცოვს 30 ათასი დოლარი გადასცა“



რუსეთის „მარცხენა ფრონტის“ ექსლიდერის კონსტანტინ ლებედევის განცხადებით, მოსკოვში, ბალოტნაიას მოედანზე არეულობების სანაცვლოდ სერგეი უდალცოვს, ლეონიდ რაზვოზჟაევსა და თავად ლებედევს ქართველმა დეპუტატმა გივი თარგამაძემ 30 ათასი დოლარი გადასცა.

„თარგამაძეს პირველად 2012 წლის თებერვალში ვილნიუსში შევხვდით, შემდეგი შეხვედრები კი ჯერ მარტში და შემდეგ მაისში მინსკში შედგა. თარგამაძეს უნდოდა რუსეთის მოქმედი ხელისუფლების ლიკვიდირება და გვთხოვა, ისეთ ადამიანთან შეგვეხვედრებინა, ვინც ამას შეძლებდა. მას იგივე სცენარის და იმავე ტექნოლოგიების გამოყენება უნდოდა, რასაც ხავერდოვანი რევოლუციების დროს იყენებდნენ“, – განაცხადა ლებედევმა მოსკოვის საქალაქო სასამართლოში დაკითხვისას.

რუსეთში ე.წ. „ბალოტნაიას საქმეზე“ გამოძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც ტელეკომპანია „ენ-ტე-ვე“-მ ბალოტნაიას მოედანზე მასობრივი საპროტესტო აქციების შემდეგ მოამზადა ფილმი „პროტესტის ანატომია“. ფილმის ერთ-ერთი მთავარი გმირი პარლამენტარი გივი თარგამაძე იყო. (ინტერპრესნიუსი)

## ღარიბაშვილი ინვესტორებს თითოეული ცენტის დაცვას ჰპირდება



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბიზნესმენებს პირობას აძლევს, რომ ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციის თითოეული ცენტი იქნება დაცული.

„ნება მომეცით, როგორც საქართველოს მთავრობის მეთაურმა, სიტყვა მოგცეთ, რომ თქვენ მიერ განხორციელებული ინვესტიციის თითოეული ცენტი იქნება დაცული და დაგიდასტუროთ ჩემი მზადყოფნა, ვიყო ქვეყანაში სამართლიანი, გამჭვირვალე და უსაფრთხო საინვესტიციო გარემოს გარანტორი“, – მიმართა პრემიერმა ისრაელის ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს.

მისივე განმარტებით, „მას შემდეგ, რაც ჩვენი პოლიტიკური გუნდი ხელისუფლებაში მოვიდა, მთავარ ღირებულებად და პრიორიტეტად გამოცხადდა კანონის უზენაესობა და კერძო საკუთრების დაცვა. ჩვენი მთავრობა ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ იქცეს ბიზნესის წარმოებით მსოფლიოში ერთ-ერთ ყველზე ხელსაყრელ და სამაგალითო ქვეყნად. სხვადასხვა ავტორიტეტულ საერთაშორისო რეიტინგებში საქართველო ინარჩუნებს მყარ პოზიციებს, მაგალითად, მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების სიმარტივის ინდექსის თანახმად, საქართველომ გააუმჯობესა მაჩვენებლები და მერვე ადგილზე გადაინაცვლა. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკის პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკური ზრდა წელს მიაღწევს 6,3 პროცენტს, ნაცვლად 5 პროცენტისა, როგორც თავიდან იყო ნავარაუდევი“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

„მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა სულ რაღაც 4,5 მილიონია და ეს, ერთი შეხედვით, შეიძლება არამომგებიან ბაზრად იქნეს მიჩნეული, სულ სხვა სურათს დავინახავთ, თუ საქართველოს შევხედავთ, როგორც რეგიონულ ცენტრს. საქართველო თავისი ადგილმდებარეობით არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ცენტრი, არამედ ცენტრალური აზიისა და ევროკავშირის, დასავლეთისა და აღმოსავლეთ ბაზრების დამაკავშირებელიცაა“, – განმარტა პრემიერმა. (ინტერპრესნიუსი)

## უგულავასა და მისი შვილის სატელეფონო ჩანაწერი სანქცირებულია

პროკურორ ნათია სონღულაშვილის განცხადებით, გიგი უგულავასა და მისი შვილის სატელეფონო ჩანაწერი სანქცირებულია:

„2013 წლის დეკემბრიდან 2014 წლის თებერვლამდე სასამართლოსგან პროკურატურას ჰქონდა სანქცია მოსმენასთან დაკავშირებით. სწორედ ამის ფარგლებში მოხდა გიგი უგულავასა და მისი შვილის ჩანაწერის გაკეთება და ამას შემხებლობა აქვს საქმესთან“, – განაცხადა პროკურორმა.

გიგი უგულავამ „თბილისის განვითარების ფონდთან“ დაკავშირებულ საქმის მასალებზე მისი და მისი შვილის სატელეფონო ჩანაწერის დართვის შესახებ განცხადება გააკეთა. უგულავა აცხადებს, რომ აღნიშნულ ჩანაწერს საქმესთან შემხებლობა არ აქვს და ის უკანონოა.

(ინტერპრესნიუსი)

# „ხრუშჩოვკები“ აღარ ინგრევა?



11 მარტს ქალაქში ტაშტი გატყდა, ხმა გავარდა: ვადაგასულ „ხრუშჩოვკებს“ ანგრევენ და მათ მობინადრეებს კეთილმოწყობილ ბინებში გადაიყვანენო. უფრო სწორად: ძველ თბილისში ეგრეთწოდებული „ხრუშჩოვკების“ დემონტაჟი იგეგმება. შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი საკრებულოსა და გაერთიანებული საამიროების ერთ-ერთ საინვესტიციო ჰოლდინგს შორის მოეწერა. მემორანდუმის თანახმად, ძველი თბილისის აღდგენის ფარგლებში, „ხრუშჩოვკების“ დემონტაჟი მოხდება და მათ ნაცვლად ახალი საცხოვრებელი კორპუსები აშენდება. მშენებლობა, დაახლოებით, ოთხ თვეში დაიწყება. მემორანდუმით ინვესტორი 600 მილიონი დოლარის შემოტანას გეგმავს. პროექტი დაწყებამდე ფინანსთა სამინისტრომ უნდა დაამტკიცოს.

ამის შემდეგ, 12 მარტს საკრებულოს წევრი, გულიკო ზუმბაძე ავრცელებს ინფორმაციას, რომ ე.წ. „ხრუშჩოვკებთან“ დაკავშირებით გაფორმებული მემორანდუმის დეტალებს არ იცნობენ.

რატომ წყვეტს საკრებულოს ხელმძღვანელი საკრებულოს წევრებთან შეუთანხმებლად, რომელი კომპანია შემოვიდეს და რომელი – არა? სახლების ნგრევის შემთხვევაში სად მიჰყავთ მოსახლეობა, ქირას უხდიან თუ ქუჩაში ტოვებენ? შედის თუ არა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ახალ პროექტში? რომელი უბნებით დაიწყება ეს პროექტი?

**შევეცადეთ, დავკავშირებოდით ირაკლი შიხიაშვილს, მაგრამ მან არც ჩვენს ზარებს უპასუხა და არც „მესიჯებს“, ამიტომ კომენტარისთვის დავუკავშირდით საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ხელმძღვანელს, ნიკო ხაჩირიშვილს:**

– რომ ამბობენ, ქალაქს მოედება ეს და, არიქა, ბიჭო, და რა ხდებაო, ეგრე არ არის, ძალიან სკრუპულოზული საქმეა. მინდა, რომ სწორად გაიგოს მოსახლეობამ, აქ საუბარი დანგრევაზე არ არის, აქ არის ლაპარაკი კონცეფციისა და პროექტების შემუშავებზე. რადგანაც ქალაქის წინაშე ეს პრობლემა დგას, ავარიული სახლები, ძველი თბილისის სახლები, მათ შორის „ხრუშჩოვკები“, ყველაფერი მისახედია და ამისთვის უნდა შემუშავდეს კონცეფცია, თუ რა ფორმით უნდა იქნეს ეს პრობლემა გადაწყვეტილი.

**— ოთხ თვეში უკვე სამუშაოები იწყებაო და კონცეფცია არ გაქვთ?**

– მაგ ოთხ თვეში ჩვენ გვექნება კონცეფცია, რა მიმართულებით უნდა წავიდეთ. საპილოტედ რამდენიმე ადგილი უნდა გამოვყოთ, გამოცდილება რომ მივიღოთ, ერთ დღეში არ ხდება დანგრევა და აშენება. არავინ ლაპარაკობს დანგრევაზე, ამ სიაში მოხვდება ავარიული სახლები, მდგრადი სახლები დარჩება ადგილზე. ზოგადად, ეს კონცეფცია დაგვანახებს, რა მიმართულებით უნდა წავიდეს ქალაქი განაშენიანების მხრივ. ამ საქმეში ჩართულები არიან ურბანისტები და არქიტექტორები, არსებობს კითხვები, რაზეც ამომწურავი პასუხები უნდა არსებობდეს, ხვალვე არაფერს ვიწყებთ.

**— კაია, რომ კითხვებთან მივედით. შევა თუ არა თქვენს პროექტში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება?**

– უნდა იყოს ტერიტორია შესწავლილი, გეოლოგია, გამტარუნარიანობა. კონცეფცია რომ შეჯერდება პროექტის დონეზე, მერე იქნება დეტალებზე ლაპარაკი. თქვენ მისვამთ კითხვას, სულ ბოლოს რომ უნდა მკითხოთ. უნდა აშენდეს სახლები, ეს ჩემი აზრია და პირდაპირ ახალ ბინაში უნდა შევიდეს ადამიანი.

**— ერთ-ერთი ყველაზე მეტი მსგავსი სახლი საბურთალოზეა და იქ გაქვთ სივრცე, ახალი სახლების ასაშენებლად? საბურთალოელი ვარკეთილში არ გადავა.**

– (ანერვიულებული) ეს დეტალები მაშინ გამოჩნდება, საერთო განაშენიანებაზე რომ მივალთ. ეს არის ჯერ ინიციატივა და ურთიერთთანამშრომლობა, ქალაქმა დადოს კონკრეტული მიმართულება.

**— ის სალიმ უმაიდ საიფი რომ ჩამოგყავთ კონკრეტულ საქმეზე, რის გაკეთება გინდათ, ამის მონახაზიც არ გაქვთ?**

– კონკრეტიკაზე დღეს ზედმეტია საუბარი. გულწრფელად მინდა, გამიგოთ, ისეთი კითხვები გაქვთ, ერთიანი რომ იქნება პროექტი, მაშინ რომ უნდა დაისვას. წეღან რომ თქვით, საბურთალოელი ვარკეთილში არ წავაო, მთელი ქალაქის მასშტაბით დაიდება კონკრეტული პროექტი და მერე ინდივიდუალური მოლაპარაკების საქმე იქნება. ჩვენ ავარიულ კორპუსებს მივხედავთ, პირველ რიგში, მერე განაშენიანებით იქნება ყველაფერი. აქ ჯერ კონცეფციაზეა საუბარი და იმ გზების პოვნაზე, როგორ მოგვარდეს.

**— კაცი 600 მილიონის ჩადებას აპირებს და ჯერ მზად არ ხართ?**

– ვლაპარაკობ მარტო იმაზე, რომ ქალაქს სჭირდება ახალი განაშენიანება და მოსახლეობასთან როგორ უნდა გადაიჭრას ეს პრობლემა, რაც სიკეთეს მოიტანს. დეტალები ჯერ არ ვიცით. უამრავი კითხვა იქნება..

**— რაზეც ჯერ პასუხები არ გაქვთ, ვხედავ. პროექტი როდის გექნებათ?**

– გონივრულ ვადაში.

– ჩვეულებრივი ფულის გათეთრების ოპერაცია იქნებაო, უკვე ლაპარაკობენ.

**— როგორი რაღაცაა, იცით? ამაზე ადრეა ლაპარაკი ცალსახად. ჯერ უნდა იყოს პროექტი და ტენდერები. ჯერ ბავშვი არ დაბადებულა და ისა... ხომ ხვდებით?**

თამარ ოქრუაშვილი

599 10-93-50

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №INVO-14/03 ფასთა ღია გამოკითხვას სხვადასხვა ქიმიური მასალების შეძენასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 27 მარტი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №CONST-14/05 ღია კონკურსს ტურბინის ზეთის შესყიდვასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 14 აპრილი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ განმეორებით აცხადებს№CONST-14/02 ღია კონკურსს სხვადასხვა სათადარიგო ნაწილების შესყიდვასთან დაკავშირებით**

ლოტი 1-ავტომატიკისა და საკონტროლო გამზომი მოწყობილობის სათადარიგო ნაწილები

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 14 აპრილი 15 საათი.*



# რა საბოტაჟში ამხილეს თბილისის მერია

„ნაციონალური მოძრაობის“ ოცნებაა, რომ ქვეყანა დააბრუნონ 90-იან წლებში. ამომრჩეველი ხშირად ვერ მიჯნავს ხელისუფლებისა და ადგილობრივი ჯერ კიდევ თბილისის „ნაციონალური“ ხელისუფლების ფუნქციებს. ხშირად იმასაც ვერ ვხვდებით, რა ფარულ საბოტაჟს აწყობენ „ნაცები“. ფაქტი ერთია, – თბილისში გზის საფარი 90-იანი წლების სტატუს კვოს უბრუნდება, უბნებში გაჩენილი „იამები“ კი შევარდნაძის პერიოდს გახსენებს.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა სამუშია აცხადებს, რომ მთელი თბილისის მასშტაბით გზის საფარი სავალალო მდგომარეობაშია, იმის მიუხედავად, რომ თბილისის 2014 წლის ბიუჯეტში გზების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი თანხა წინა წლებთან შედარებით გაზრდილია და 64 მილიონ ლარს შეადგენს. ამის მიუხედავად, ჯერაც არ დაწყებულა გზებზე სამშენებლო-შეკეთებითი სამუშაოები, რაც საზოგადოების ობიექტურ უკმაყოფილებას იწვევს. ფაქტობრივად, არ არსებობს ქუჩა, სადაც არ არის ორმოები. გზის საფარი დაზიანებულია როგორც თბილისის ცენტრალურ უბნებში, ასევე გარეუბნებში. ზოგჯერ რჩება შთაბეჭდილება, რომ სპეციალურად თხრიან ორმოებს და მძღოლებს იმ ადგილას ხვდებათ სიურპრიზი, სადაც წინა დღით ნორმალური ასფალტის საფარი იყო. ჯაბა სამუშია აცხადებს, რომ საქმე გვაქვს საბოტაჟთან „ნაციონალების“ მხრიდან.

**„ალიას“ კითხვებს ჯაბა სამუშია პასუხობს:**

**— ქალაქის ქუჩებში მართლაც საშინელი მდგომარეობაა. თქვენ განაცხადეთ, რომ ეს არის საბოტაჟი. რეალურად, იკვეთება თუ არა საბოტაჟის ნიშნები, რაც დანაშაულია, თუ პოლიტიკურ ტერმინოლოგიად გამოიყენეთ ეს შეფასება?**

– როცა ვსაუბრობ საბოტაჟზე, ამის უკან დგას კონკრეტული ფაქტები. ქალაქის მთავრობას ჰქონდა შესაბამისი თანხები, ეწარმოებინა წინასწარი სამუშაოები გზის საფარის მოწესრიგებასთან დაკავშირებით. დრო გაიწელა ხელოვნურად და თქვენ იცით, რა ხდება ქალაქში. მე არ ვითხოვ წვიმაში დააგონ ასფალტი, ის ტექნოლოგია, რაც თბილისშია, ამის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ის, რომ უნდა დაიწყოს ორმოების ამოვსება და ქუჩები მომზადდეს სარეაბილიტაციოდ, ამასაც არავინ აკეთებს. ეს იცით, რატომ არ გაკეთდა აქამდე? ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელსა და მერიას უნდოდათ გადმოებრალებინათ ჩვენთვის ეს საკითხი და ეთქვათ, – ქალაქის ბიუჯეტის არქონის გამო გვაქვს შეფერხებებიო, მაგრამ ამაშიც შეცდნენ, ტენდერები, რომელიც ავალდებულებდა, რომ თანხა დახარჯულიყო 1/12-ის პირობებში, გამოცხადებულია სწორედ იანვარში. ასე რომ, თანხა არსებობდა...

**— კითხვას ვსვამ, რატომ არის ეს პროცესი შეჩერებული?**

– მათ შეეძლოთ, მიზნობრივად დახარჯულიყო ამ მიმართულებით გაწერილი თანხები. საეჭვოა, ამ პრობლემების მიმართ უკლებლივ ყველა რაიონის გამგეობისა და გამგებლის ინერტულობა. სწორედ ეს არის მათი მხრიდან მიზანმიმართული საბოტაჟი. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ გამგებლები ხელოვნურად აჭიანურებენ მათივე გამოცხადებულ ტენდერებს, ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ ქალაქში შექმნან ხელოვნური გზით პრობლემები და მოსახლეობას ამჟამინდელი ხელისუფლების უმოქმედობა დაანახონ. რაც ქალაქის ქუჩებში ხდება, ეს ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ საბოტაჟის გზით თბილისელები დააბრუნა 90-იან წლებში.

**— ამ საკითხთან დაკავშირებით ვისი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს?**

– პასუხი უნდა აგოს იმან, ვის ფუნქციაშიც შედის აღნიშნული პრობლემის მოგვარება. ეს არის გამგეობები, გამგებლები, მე მახსოვს, კრწანისის გამგებლის, ქალბატონ ხათუნა ბერძენიშვილის გამოსვლა, რომელიც ამტკიცებდა, ფული არ არის გზების დასაგებადო... ის ამას იანვარში აცხადებდა, მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ იანვარ-თებერვალში გამოცხადდა ტენდერი, რომელიც წინ აღარ არის წასული, კერძოდ, სარემონტო სამუშაოები არ შეასრულეს. მაგალითად, დიდუბეში გამოცხადებული იყო ტენდერი. ჯერ კიდევ 2013 წლის დეკემბერში, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კონკრეტულ ფირმასთან გაფორმებულიც არის ხელშეკრულება, მაგრამ სამუშაოები ძალიან ნელი ტემპით მიდის წინ. ეს ყველაფერი, ვიცით, საიდანაც იმართება. ამას ჰქვია პოლიტიკის ბინძური ხერხებით კეთება. ქალაქის მთავრობის წევრებთან კომუნიკაცია აქვს გიგი უგულავას, გამგებლების დიდი ნაწილი, რომელიც „ნაცმოძრაობის“ რაიონული შტაბების ხელმძღვანელებიც არიან, მათ მართავს გიგი უგულავა. არ გამოვრიცხავ, რაც ხდება ქალაქის ქუჩებში, ეს იყოს „ნაციონალების“ ერთიანი გეგმის ნაწილი.

**— რადგან მერიამ იანვარ-თებერვალში ტენდერი ჩაატარა გზების შეკეთების მიზნით, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ეს ნიშნავს, რომ მათ ფული აქვთ, საბიუჯეტო კრიზისი არაფერ შუაშია. ხომ არ ფიქრობთ, რომ ტენდერის მონაწილე ფირმების უკანაც, გიგი უგულავა დგას.**

– ამასთან დაკავშირებით ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, ტენდერების ნაწილი ჩატარდა, ნაწილი დროში გაწელეს, მაგრამ შენ რომ ტენდერს აცხადებ, დიახაც, ეს იმას ნიშნავს, რომ ფული გაქვს. ამ პროცესს რომ ხელოვნურად აფერხებ, ეს კი საბოტაჟია.

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პარლამენტის კომიტეტები მუშაობას თბილისში შეუდგებიან



პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, საპარლამენტო კომიტეტები თბილისში მუშაობას ძალიან მალე დაიწყებენ.

„ჩვენ ძალიან მალე გვექნება შესაძლებლობა, მინიმუმ საკომიტეტო სხდომები გავმართოთ თბილისში. საკომიტეტო მოსმენაზე აქცენტს იმიტომ ვაკეთებ, რომ ეს განხილვების ის ფორმატია, სადაც პარლამენტის წევრების გარდა, ყველა დაინტერესებულ პირს აქვს საკითხზე პოზიციის გამოთქმისა და დისკუსიაში მონაწილეობის შესაძლებლობა. პარლამენტის პლენარული სხდომა ჩაკეტილი სივრცეა. პლენარულ სხდომათა დარბაზში შესვლაც კი კანონით რეგულირებულია, არათუ დებატებში მონაწილეობა. კომიტეტების სხდომაზე კი ყველას ექნება პოზიციის გამოთქმის საშუალება“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ. (ინტერპრესნიუსი)

## ყაჩაღობის მომზადებისთვის ორი პირი დააკავეს



სამართალდამცველებმა 1972 წელს დაბადებული კობა ზ. და 1968 წელს დაბადებული გივი ნ. ყაჩაღობის მომზადებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით გურჯაანში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები ქალაქ გურჯაანში მდებარე ერთ-ერთი ბანკის საინკასაციო მანქანაზე ყაჩაღურ თავდასხმას გეგმავდნენ. მათ წინასწარ ჰქონდათ შესწავლილი ჯავშანმანქანის მოძრაობის განრიგი და მარშრუტი.

სამართალდამცველებმა გივი ნ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს ერთჯერადი ხელთათმანები, ნიღბები და კუსტარულად გადაჭრილი გლუვლულიანი სანადირო თოფი, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას განეკუთვნება და სასროლად ვარგისია. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველოსთვის „მაპის“ მიცემის შანსი გაიზარდა



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის, ნიკოლოზ ვაშაკიძის განცხადებით, უკრაინის მოვლენებიდან გამომდინარე საქართველოსთვის „მაპის“ მიცემის შანსი გაიზარდა.

„ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ქმედებებმა დასავლეთისა და ნატო-ს პოლიტიკის გააქტიურება გამოიწვია პარტნიორებთან, მათ შორის საქართველოსთან. კონკრეტული ნაბიჯების სახით როგორ გამოიხატება, ძნელი სათქმელია, იმიტომ რომ პოზიციის ფორმირება მოხდება თანდათან სამიტამდე. ის რომ ზოგადად უკრაინის მოვლენებიდან გამომდინარე საქართველოსთვის „მაპის“ მიცემის შანსი გაიზარდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გადაჭრით შეიძლება ეს ითქვას“, – განაცხადა ვაშაკიძემ.

რუსული გამოცემა „კომერსანტი“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ საქართველოს შესაძლოა, უკვე სექტემბერში მიეცეს ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა – „მაპი“.

„უკრაინაში რუსეთის ქმედებებმა აღმოსავლეთ ევროპაში ალიანსის უფრო გადამწყვეტი პოლიტიკის განახლებული დებატების საჭიროება გამოიწვია. იმაზე, რომ საქართველოს განაცხადი ნატო-ში გაწევრიანების კანდიდატის სტატუსის მიღებაზე უნდა დაკმაყოფილდეს, იმ სახელმწიფოს წარმომადგენლებიც ალაპარაკდნენ, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ გამოდიოდნენ მოწოდებით, არ მოეხდინათ ამ საკითხის ფორსირება“, – ციტირებს სტატიის ავტორი ნატო-ში საკუთარი წყაროს კომენტარს.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში საკუთარმა წყარომ განუცხადა, რომ ცოტა ხნის წინ, ვაშინგტონში ვიზიტად მყოფ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს თეთრი სახლის წარმომადგენლები საქართველოს ნატო-ში ინტეგრირების მხარდაჭერას შეჰპირდნენ. (ინტერპრესნიუსი)

## „უკრაინის კრიზისი გვაიძულებს, უფრო ფხიზლად ვიყოთ“

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სააგენტო „ფრანს პრესს“ ინტერვიუ მისცა და განაცხადა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მარცხმა – დაესაჯა რუსეთი საქართველოში 2008 წლის შემოჭრისთვის, მოსკოვს აფიქრებინა, რომ ყირიმის მიტაცებაც შერჩებოდა.

„ის ფაქტი, რომ 2008 წელს საქართველოში გამოყენებული რუსეთის სცენარი – როცა რუსეთმა სამხედრო ძალით მიიტაცა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიები, ახლა, 2014 წელს კიდევ ერთხელ გამოიყენება სხვა ქვეყნის წინააღმდეგ, ამტკიცებს, რომ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ვერც ჩვენ და ვერც ჩვენი პარტნიორები წინ ვერ აღვუდექით რუსეთს. დღეს მწუხარებით უნდა განვაცხადოთ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ და ჩვენ ვერ შევძელით, გამოგვეყენებინა ეს ექვსი წელი, რათა გვეიძულებინა რუსეთი, გაეაზრებინა, რომ მსგავსი ქმედებები არასწორი და არაეფექტიანია“, – აღნიშნა მარგველაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ალასანია ვიზიტით იტალიაში გაემგზავრა



საქართველოს თავდაცვის მინისტრი ოფიციალური ვიზიტით იტალიაში გაემგზავრა. თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ეს არის პირველი ოფიციალური შეხვედრა საქართველოსა და იტალიის თავდაცვის უწყებების ხელმძღვანელებს შორის. ალასანია იტალიელ კოლეგას რობერტა პინოტის საქართველოს თავდაცვის სფეროში განხორციელებულ რეფორმებს გააცნობს და თავდაცვის სფეროში საქართველოსა და იტალიას შორის ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებს განიხილავენ.

ალასანია იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრთან ფედერიკა მოგერინისთან გამართავს შეხვედრას. დაგეგმილია ასევე, ვიზიტი იტალიის დეპუტატთა პალატაში, სადაც საქართველოს თავდაცვის მინისტრი თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ელიო ვიტოს შეხვდება. სამინისტროს დელეგაცია იტალიის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა კლუბსაც ეწვევა. დაგეგმილია ვიზიტი იტალიის თავდაცვის უმაღლეს სასწავლო-სამეცნიერო ცენტრში, სადაც ირაკლი ალასანია სასწავლო დაწესებულების მსმენელებისა და მაღალი რანგის ოფიცრების წინაშე სიტყვით გამოვა. საქართველოს თავდაცვის მინისტრი იტალიის საჰაერო ძალების ფრენების ცენტრსაც ესტუმრება და მისი მუშაობის შესახებ პრეზენტაციას მოისმენს. (ინტერპრესნიუსი)

## ევროპარლამენტმა შესაძლოა, დუმასთან ურთიერთობა შეწყვიტოს



უკრაინის კრიზისის დასრულებამდე ევროპარლამენტმა, შესაძლოა, რუსეთის დუმასთან ურთიერთობა შეაჩეროს. „ლიგა.ნეტ“-ის ინფორმაციით, ამის შესახებ ევროპარლამენტის რეზოლუციის პროექტშია საუბარი, რომელსაც დეპუტატები 13 მარტს განიხილავენ.

რეზოლუციის პროექტში ნათქვამია, რომ ყირიმში რუსეთის შეჭრა საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება და რუსეთის მიერ ბუდაპეშტის მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევაა. არგუმენტი, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა წარმოადგინა ამ აგრესიის გასამართლებლად, არაკომპეტენტურია და რეალობისგან შორსაა. „ამიტომაც, ევროპარლამენტი გმობს რუსეთის აგრესიას და ყირიმში, როგორც უკრაინის განუყოფელ ტერიტორიაზე შეჭრას“, – ნათქვამია რეზოლუციის ტექსტში.

„ამასთან დაკავშირებით, ევროპარლამენტი მხარს უჭერს გადაწყვეტილებას, სავიზო საკითხებზე და „დიდი რვიანის“ სამიტის მომზადებასთან დაკავშირებით რუსეთთან ორმხრივი მოლაპარაკებების გაყინვის შესახებ. ევროპარლამენტი სრულიად უჭერს მხარს ევროპის საბჭოს მოწოდებას (საერთაშორისო შუამავლებთან ერთად) მოლაპარაკებების დაუყოვნებლივ დაწყებასთან დაკავშირებით. პროგრესის არარსებობის შემთხვევაში, ევროპარლამენტი მხარს უჭერს ევროკავშირის გადაწყვეტილებას, ქვეყანაში შესვლისა და გასვლის აკრძალვის შესახებ, აქტივების გაყინვისა და ევროკავშირ-რუსეთის სამიტის გადადების თაობაზე“, – ნათქვამია რეზოლუციაში.

ევროპარლამენტი კატეგორიულად მიუთითებს, რომ ევროპარლამენტსა და რუსეთის დუმას, ასევე ფედერაციის საბჭოსთან თანამშრომლობა ვერ გაგრძელდება აღნიშნული გარემოებების გამო. „ყველა დაგეგმილი შეხვედრა უნდა გადაიდოს იმ დრომდე, ვიდრე კრიზისი არ დასრულდება“, – განაცხადეს ევროპარლამენტში. (ინტერპრესნიუსი)

# იარაღისთვის დაკავებული ივა ჩილვინაძე გირაოთი გაათავისუფლეს

## რა უნდა იცოდეთ, როცა იარაღი გასაფორმებლად მიგაქვთ...



6 მარტს პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლებული ივა ჩილვინაძე იარაღის უკანონო გადატანის ბრალდებით დააკავეს. ცნობილია, რომ იარაღი ჩილვინაძეზე არის გაფორმებული, მაგრამ მისი ტარების უფლება მას არ ჰქონდა. გავრცელებული ინფორმაციით, მასთან ერთად დააკავეს ასევე „გრეჩიხა“, ლევან გაჩეჩილაძეც, მაგრამ ეს ფაქტი შემდგომ უკვე შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ დაადასტურა.

„ალიამ“ შეიტყო, რომ ჩილვინაძე გირაოთი გაათავისუფლეს და ისიც, სინამდვილეში რისთვის დააპატიმრეს ის. როგორც „ალიას“ ჩილვინაძის ერთ-ერთმა მეგობარმა განუცხადა, ჩილვინაძეს ჰქონდა გაფორმებული იარაღი შენახვის უფლებით, რომელსაც ვადა ჰქონდა გასული და ამის გარდა, 5 მარტს მას აჩუქეს თოფი, რომლის გადასაფორმებლადაც და უკვე გაფორმებულის ვადის გასაგრძელებლად მიდიოდა ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე შსს-ს მომსახურების სააგენტოში, სადაც მას ელოდებოდა თოფის პატრონი. ტერიტორიულად ივა ჩილვინაძის დაკავება მოხდა არმისული ქავთარაძემდე, ვაკე-საბურთალოს კვეთაზე. დაკავების მიზეზი კი გახლდათ იარაღის გადატანის წესის დარღვევა. ამის შემდეგ ჩილვინაძე გადაიყვანეს დიღმის პოლიციის სამმართველოში, სადაც ადვოკატმა მოინახულა. ჩილვინაძეს ამ ამბის გამო აღმკვეთი ღონისძიება შეეფარდა და გირაოდ 20 000 ლარის გადახდა დაეკისრა.

აი, აქ ძალიან საინტერესო მომენტია: თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჭიაბერაშვილს, რომელსაც 5 მილიონის გაფლანგვას ედავებიან და გირაოდ 50 000 ლარი შეეფერდა, მომსახურებს სააგენტოში საკუთარი იარაღის ვადის გასაგრძელებლად მიმავალ ჩილვინაძეს რატომ უნდა დაკისრებოდა 20 000 ლარი? სად არის სამართალი?

**„ალიას“ ივა ჩილვინაძის ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი ესაუბრა:**

– რას იზამ, არსებობს მოქმედი კანონმდებლობა და იარაღის გადატანას თავისი წესი აქვს. კერძოდ, როცა პიროვნებას აქვს გაფორმებული იარაღი შენახვის უფლებით და მას სურს ამ იარაღის გადატანა ვადის გასაგრძელებლად, პირმა წინა დღეს უნდა მიაკითხოს მომსახურების სააგენტოს, დაწეროს განცხადება, დაასახელოს მიზეზი იარაღის სახლიდან გამოტანისა და მარშრუტი უნდა დაასახელოს, რა მარშუტით გადაადგილდება იარაღით. ამით უკვე „გაპრავებულია“ იარაღის გადატანა იმ დღეს გარკვეულ საათებში. ამას ემატება კიდევ დრო სახლამდე მისვლისა. ივას შემთხვევაში ეს წინასწარი პროცედურა არ შესრულებულა, დაირღვა და ამ უფლების გარეშე სახლიდან იარაღის გამოტანა უკვე იარაღის უკანონო ტარებად ჩაითვალა.

**— და ეს უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია?**

– კი, ეს სისხლის სამართალში გადადის, მაგრამ ეს მუხლი ჯარიმასაც ითვალისწინებს და 3-დან 5 წლამდე პატიმრობასაც. ანუ, 236-ე მუხლის პირველი ნაწილი არის იარაღის უკანონო შენახვა და მეორე ნაწილი – ტარება, ივას ჰქონდა მეორე ნაწილი, ტარება და ეს ითვალისწინებს სასჯელს ჯარიმიდან დაწყებული 5 წლამდე ციხით.

**— და გირაოდ 20 000 ლარი რა ამბავია, ძალიან ბევრი არაა?**

– რატომ გიკვირთ, პროკურორი ითხოვდა 30 000 ლარს!

**— თქვენ შეთავაზება გქონდათ?**

– 5 000 ლარი, მაგრამ მოსამართლემ ასე ჩათვალა საჭიროდ. ცხადია, შეუსაბამობაშია ეს გირაოს თანხა დანაშაულთან, მაგრამ, რას იზამ, ასე ჩაითვალა და რა ვქნათ.

**— კაცი თავისი ფეხით მიდიოდა პოლიციაში, სადაც ელოდებოდა იარაღის პატრონი, არსად არ გარბოდა და ასე დაისაჯა?**

– უბრალოდ, იარაღის გადატანის წესის არცოდნაა, მეტი კი არაფერი? ეგაა, რომ კანონის არცოდნა, არ ათავისუფლებს ადამიანს პასუხისმგებლობიდან. კანონი ეგრეა და რა ვქნათ, სასამართლო 8 აპრილსაა ჩანიშნული. აქვე ვიტყვი, რომ ჩილვინაძეს ასპროცენტიანად უსმენდნენ და ჩასაფრებულები იყვნენ.

**— ვინ და რატომ?**

– ეგ მე არ ვიცი, მაგრამ თვითონ როგორც ეჭვობს, კოდუასთან დაპირისპირების გამო მოხდა ეს. ამბობს, კოდუას ხალხი ისევ მანდ არისო და ეს „გამიჩალიჩესო“.

როგორც ხედავთ, კანონის არცოდნის გამო ადამიანს საციხოდ გაუხდა საქმე და რადგან ამ საკითხს მივადექით, „ალიამ“ გადაწყვიტა, ერთი საკითხიც გაერკვია, რომელიც იარაღის ბევრ მოყვარულს აწუხებს. ვინც არ იცის, მათთვის გასაგები რომ გახდეს, იარაღი დაახლოებით მანქანასავითაა, მანქანა გარკვეული ხანი უნდა ატარო, სანამ შეეგუები. ასეა იარაღიც, რომ შეეგუო და აითვისო, დროდადრო უნდა ისროლო, მაგრამ, როცა შენახვის უფლებით გაქვს, სახლში ხომ არ დაიწყებ სროლას? ამისთვის არსებობს ტირები, მაგრამ ნებადართულია კი ოფიციალური პროცედურებით იარაღის ტირში წაღება?

**„ალია“ კომენტარისთვის დაუკავშირდა შსს-ს წარმომადგენელს ნინო ცხადაძეს:**

– იმ პირებს, ვისაც გაფორმებული აქვთ იარაღი შენახვის უფლებით, მათ იარაღით გადაადგილება შენახვის ადგილიდან, ეკრძალებათ, გარდა სახელოსნოში წასვლისა.

**— რაც შეეხება ტირს? სადაც პირს სურს, იარაღი მოირგოს ხელზე?**

– არა, ეკრძალება.

**— განცხადების დაწერის შემთხვევაშიც?**

– არავითარი განცხადება, ეს გამორიცხულია. ადგილზე რეგისტრირებული იარაღი მხოლოდ და მხოლოდ ადგილზე უნდა იმყოფებოდეს, სხვა ყველაფერი კანონდარღვევაა დღევანდელი მოქმედი კანონმდებლობით.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №INVO-14/05 ფასთა ღია გამოკითხვას სხვადასხვა სახის საპოხი მასალის შეძენასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 27 მარტი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ განმეორებით აცხადებს №INVO-14/02 წინადადებების ღია გამოკითხვას ავტოტრანსპორტის დაზღვევასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 27 მარტი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №INVO-14/04 ფასთა ღია გამოკითხვას ქიმიური რეაგენტების, რეაქტივებისა და ინვენტარის შეძენასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 27 მარტი 15 საათი.*

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რატომ გადასცეს ალასანიას დაქვემდებარებული „დელტა“ ეკონომიკის სამინისტროს?

მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ თავდაცვის სამინისტროდან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. რატომ, რა მიზნით გადაწყდა სამხედრო დანიშნულების მქონე საწარმოს ეკონომიკური უწყებისთვის გადაცემა?

**„ალია“ მთავრობის კანცელარიას დაუკავშირდა. პრესსამსახურის სახელით ანა გოჩაშვილმა განგვიცხადა, რომ ეს საკითხი მათი პრეროგატივა არაა (მთავრობამ გადაწყვიტა ასე და აბა, ვისი პრეროგატივაა? — ჟ.ა.)?!**

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის წარმომადგენელმა, ხათუნა ლეჟავამ კი გვითხრა: „გამომდინარე იქიდან, რომ „დელტა“ არის კერძო ტექნიკური ცენტრი და მრავალფუნქციური საწარმო, მას აქვს რესურსი, აწარმოოს, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო პროდუქცია. იმის მიუხედავად, რომ „დელტა“ ეკონომიკის სამინისტროს გადაეცა, ის განაგრძობს თავდაცვის უწყების შეკვეთებს. თავდაცვის უწყება რასაც შეუკვეთავს, იმას შეასრულებს, ამიტომ არც პრეტენზია და არც პრობლემა არ გვაქვსო“.

**რამდენად მისაღებია და რას შეცვლის „დელტას“ ეკონომიკის უწყებისთვის გადაცემა?**

**„ალია“ კომენტარისთვის დაუკავშირდა სამხედრო ექსპერტს, გიორგი თავდგირიძეს:**

**— ბატონო გიორგი, თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი „დელტა“ ეკონომიკის სამინისტროს რომ გადაეცა. ვერც თავდაცვის სამინისტროდან და ვერც მთავრობიდან პასუხი ვერ მივიღე. თქვენი აზრით, ეს რატომ გაკეთდა?**

– ჩემი აზრით, ერთი მხრივ, თავდაცვის სამინისტროს მოშორდა გარკვეული ტვირთი, მეორე მხრივ, ის სახელმწიფოს კომპეტენციაში დარჩა და როგორც აქამდე მოქმედებდა „დელტა“, იგივე დასვამს სპეციალისტებს და სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე ააწყობს ამ სფეროს. პირადად, მე მომხრე ვარ, რომ მონსტრი „დელტა“ დაიშალოს გარკვეული მიმართულებების მიხედვით. კერძო ინვესტიციებს უნდა გაეხსნას კარი ამ სფეროში.

შეიძლება მექანიკურად გადასცეს, შეიძლება სხვა ჩანაფიქრი იყოს, თუმცა ერთი ცხადია, რომ „დელტას“ გარკვეული თავისუფლება მიეცემა, რადგან თავდაცვის უწყების ქვეშ იყო მთელი რიგი კონფიდენციალური პროექტები და თავდაცვის უწყება თავისი ბიუროკრატიული წნეხის გამო იჭედებოდა ხოლმე. ამის გამო ბევრი კარგი იდეა და ღონისძიება არ ხორციელდებოდა ხოლმე. თუ ამ მიმართულებით ფიქრობს ხელისუფლება, ძალიან კარგი იქნება.

**— ხომ არ არის ერთგვარი უწყებრივი აღრევა? სად ეკონომიკის სამინისტრო, რომელიც პრაქტიკულად ღია უწყებაა და სად — თავდაცვა, რომელიც უფრო დახურულია და მეტადაა დაცული ინფორმაციების გაჟონვისგან?**

– ეს იყო მაინც საბჭოთა გადმონაშთი, რომ ეკონომიკური სიმძლავრეები, რომლითაც სამხედრო უწყება დაკავებული, ყოფილიყო თავდაცვის უწყების ქვეშ, რაც თავისთავად არაა სწორი. შეიძლება, რაღაც ეტაპზე ეს ფინანსურად მომგებიანი იყოს, მაგრამ საბაზრო ეკონომიკას თავისი პრინციპები აქვს. ჩემი აზრით, ეკონომიკის სამინისტრო შედარებით თავისუფლად მიუდგება ამ საკითხებს. „დელტას“ განვითარებაში თუ კერძო ინვესტიციები არ ჩაიდო, თავის ხელთ არსებული თანხებით მისი განვითარება რთული იქნება. ჩემთვის სხვა თემაა მნიშვნელოვანი, როცა „დელტას“ სხვა უწყებას უქვემდებარებენ, უნდა მოხდეს ამ გადაცემის მოტივაციის და მიზეზების დეკლარირება. უნდა ახსნას სახელმწიფომ, რა მიზნით გადაიტანა „დელტა“ ეკონომიკის სამინისტროში, რა მოხდება, როგორ განვითარდება, რა გაუქმდება და რა დაემატება. ის ერთგვარი მონსტრია, ითავსებს როგორც წარმოების საშუალებებს, ასევე მეცნიერულ სიმძლავრეებს, რომლებიც ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული.

**— მე მახსოვს, როგორი ბედნიერი იყო ალასანია, როცა ჯავშანჟილეტები დაამზადეს და ამბობდა, რომ ნატოს სტანდარტისაა და გასაღების ბაზარი საზღვარგარეთაც იქნებოდა მოძიებული. როგორ ფიქრობთ, დიდ ფულთან ხომ არაა აქ საქმე, რომლის გამოც ალასანია, უბრალოდ, გაარიდეს „დელტას“?**

– რა თქმა უნდა, აქ დიდ ფულზეა საუბარი. თავდაცვის ნორმატიული აქტების ფარგლებში გააგრძელებს მუშაობას. მე ვფიქრობ, სამრეწველო კომპლექსს საქართველოში სჭირდება ახლებური მიდგომა, რომელიც კონცეპტუალურადაც ახალი იქნება, რადგან „დელტა“ აღწევს გარკვეულ სიმაღლეებს, მაგრამ საერთო ჯამში რაღაც მნიშვნელოვანი ნახტომი და ცვლილება არ არის. გვაქვს ცალკეული მიღწევები სახელმწიფო სისტემების დონეზე, მაგრამ ამ სისტემების მასობრივი გამოშვება შეზღუდულია. ჩემი აზრით, სწორი იქნება, თუ ახლა სახელმწიფო სამინისტრო ყველა ფინანსური საკითხებისგან უნდა გათავისუფლდეს, ის უნდა იყოს მხოლოდ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაზე ორიენტირებული და არ უნდა ჰქონდეს კომერციული სახის რაიმე ინტერესი. ამ გაგებით ეს კარგია.

**— ამბობენ, რომ ამ ქმედებით ალასანია „განაიარაღეს“, ფუნქციები წაართვეს.**

– არ მიმაჩნია ეს მიდგომა სწორად, როცა მინისტრის წონა განისაზღვრება მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურების რაოდენობით. ალასანია იქნება მინისტრი, თუ გიორგაძე, ის ჩემთვის თავდაცვის უწყებასთან არ ასოცირდება, უწყება უნდა იყოს სწორად სტრუქტურიზებული. ამიტომ ამ უწყების გადაცემით ალასანია ვერ „გამოიშიგნება“. სამრეწველო საკითხებს ახლა განაგებს კერძო ფირმები, რომელთაც თავდაცვის უწყება აფინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით. ის, რომ „დელტა“ არ იქნება თავდაცვის უწყების ქვეშ, ტრაგედია არ იქნება, რადგან ყველაფერს, რასაც მოინდომებს, შეუკვეთს კერძო ფირმებს, როგორც ეს მთელ მსოფლიოშია. კარგი იქნება, თუ ეკონომიკის სამინისტრო პროგრამასა და მიზნებს გამოაქვეყნებს, რომ მერე შევაფასოთ იგი. ჩვენ მის მონიტორინგს მუდმივად განვახორციელებთ, როცა თავის აზრს გვეტყვის, ჩვენს წინადადებებსა და რეკომენდაციებს შევთავაზებთ და საზოგადოებასაც მივაწვდით ჩვენს დამოკიდებულებებს.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

## სერგეი ბეზრუკოვის სპექტაკლის გაუქმებას უკრაინული მედია ეხმაურება



საქართველოში რუსი მსახიობის სერგეი ბეზრუკოვის სპექტაკლის გაუქმებას უკრაინული საინფორმაციო საშუალებებიც ეხმაურებიან. უკრაინული სააგენტო „ლიგა.ნეტ“-ი საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტის დავით ოქიტაშვილის კომენტარს ციტირებს, რომელიც აცხადებს, რომ სერგეი ბეზრუკოვის თეატრის სპექტაკლი, ყირიმში რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ქმედებებისთვის, მსახიობის მხარდაჭერის გამო გაუქმდა.

„საქართველოში არასდროს ჩამოვიყვან მსახიობს, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე ანტიდემოკრატიულ გადაწყვეტილებას მიიღებს ნებისმიერი ფორმით. ეს იგივეა, რომ მხარი დაუჭირო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპაციას“, – ციტირებს უკრაინული სააგენტო დავით ოქიტაშვილის კომენტარს.

საქართველოს კულტურის პალატამ სერგეი ბეზრუკოვის სპექტაკლი რუსი სახალხო არტისტების მიერ პუტინისთვის მიწერილი წერილის გამო გააუქმა. წერილში რუსი ხელოვანები მხარდაჭერას გამოთქვამდნენ ყირიმში რუსეთის პრეზიდენტის პოზიციასთან დაკავშირებით.

წერილს ხელს აწერდა 86 რუსი ხელოვანი.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აბორტის წინასწარი მოფიქრების პერიოდი შესაძლოა, ხუთ დღემდე გაიზარდოს




პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, დიმიტრი ხუნდაძის განცხადებით, აბორტის სამდღიანი წინასწარი მოფიქრების პერიოდი შესაძლოა, ხუთ დღემდე გაიზარდოს. კანონმდებლობაში არსებობს ნორმა, რომელიც აბორტის სამდღიანი წინასწარი მოფიქრების პერიოდს გულისხმობს. ეს ნორმა უმოქმედოა და მათი სურვილია აღნიშნული ნორმის ამოქმედება.

„კანონმდებლობით არსებობს სამდღიანი მოსაფიქრებელი ვადა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამი დღით ადრე, თუ ქალს გადაწყვეტილი აქვს გაიკეთოს აბორტი, ამ მანიპულაციის ჩატარებამდე, უნდა გაიაროს გინეკოლოგთან კონსულტაცია და მოიფიქროს სამი დღის განმავლობაში, მიიღოს თუ არა ეს გადაწყვეტილება. ალბათ, სარგებლიანი იქნება მეტი დრო მივცეთ მას მოსაფიქრებლად – მოიცილოს თუ არა ნაყოფი“, – აღნიშნა ხუნდაძემ.

მისივე თქმით, საქართველოში აბორტების რიცხვი ძალიან დიდია. 2012 წელს რეგისტრირებული აბორტების რიცხვმა 40 000 შეადგინა. ხუნდაძე ფიქრობს, რომ არარეგისტრირებული აბორტების რიცხვი 4-ჯერ მეტია. მისივე თქმით, მნიშვნელოვნადაა შემცირებული შობადობა.

დემოგრაფიულ პრობლემებზე საუბრის კონტექსტში დიმიტრი ხუნდაძემ აღნიშნა, რომ გაერო-ს მონაცემებით, 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობას 28%-ით შემცირება ემუქრება. მისივე თქმით, ამავე პერიოდში აზერბაიჯანის მოსახლეობა 34%-ით მატულობს, სომხეთის კი 6%-ით. როგორც ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, მოსალოდნელია ამიერკავკასიაში დისბალანსი.

ხუნდაძემ ასევე აღნიშნა, რომ რეგიონებში, სადაც სიკვდილიანობა შობადობას აჭარბებს და ბუნებრივი მატება მინუსშია, ყოველი მესამე ბავშვი დაფინანსდება, რადგან ერის რიცხოვნობას მესამე ბავშვი განსაზღვრავს. ხუნდაძე არ გამორიცხავს, რომ შემდგომ ეტაპებზე მე-4, მე-5 და მომდევნო შვილები დაფინანსდეს. 2 წლამდე თითოეული მესამე ახალშობილი ბარში ყოველთვიურ 150-ლარიან შემწეობას მიიღებს, ხოლო მთაში 200-ვლარიან დახმარებას. პროექტში პირველ ეტაპზე მოხვდა ექვსი რეგიონი: რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია, იმერეთი, კახეთი და მცხეთა-მთიანეთი. (ინტერპრესნიუსი)

## პროკურატურა უგულავას დაპატიმრების მოთხოვნას არ აპირებს




პროკურორ ნათია სონღულაშვილის განცხადებით, პროკურატურა არ აპირებს, გიგი უგულავასთვის აღმკვეთი ღონისძიების – პატიმრობით შეცვლის შუამდგომლობა დააყენოს.

„ჩვენ გვესმის გიგი უგულავას ეიფორიული მდგომარეობა და ის განცდები, რომელიც მას პროცესის დაწყებამდე ჰქონდა, თუმცა სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ მთავარი პროკურატურა არ აპირებს, მოითხოვოს უგულავას აღმკვეთი ღონისძიების პატიმრობით შეცვლა“, – განაცხადა სონღულაშვილმა.

ის გამოეხმაურა გიგი უგულავას პროტესტს საქმეზე მისი და მისი შვილის ფარული ჩანაწერის დართვასთან დაკავშირებით. როგორც პროკურორმა აღნიშნა, ამ ჩანაწერთან ერთად საქმეს დაერთო კიდევ 10 ფარული ჩანაწერი, რომელსაც საქმესთან შემხებლობა აქვს და ადასტურებს იმას, რომ „მიუხედავად უფლებამოსილების შეჩერებისა, გიგი უგულავა, ფაქტობრივად, მაინც ასრულებდა დედაქალაქის მერის მოვალეობას“.

„საქმეს არა მხოლოდ უგულავასთან მისი შვილის საუბრის ჩანაწერი, არამედ ათამდე ჩანაწერი დავურთეთ, რაც განხორციელდა მას შემდეგ, რაც საქალაქო სასამართლომ გიგი უგულავა გადააყენა მერის თანამდებობიდან. ამ საუბრებით, ჩვენ შევეცდებით, დავადასტუროთ, რომ უგულავა ამ ხნის განმავლობაში, ფაქტობრივად, კვლავ მერის მოვალეობას ასრულებდა“, – განაცხადა ნათია სონღულაშვილმა, რომლის მტკიცებითაც ყველა ჩანაწერი უკავშირდება გიგი უგულავას წინააღმდეგ აღძრულ საქმეს. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK





# რა დოკუმენტების გამოქვეყნებას აპირებს ჯონდი ბაღათურია 15 მარტს?

**„ქართული დასი“ 15 მარტს ჭადრაკის სასახლეში მშრომელთა, პენსიონერთა, დევნილთა და სოციალურად დაუცველთა ყრილობას მართავს. როგორც დასის ლიდერი აცხადებს, „ყრილობაზე წარმოდგენილი იქნება უნიკალური დოკუმენტური მასალა, თუ რა უჯდება ხელისუფლების შენახვა ხალხს“. — განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.**

**დეტალებზე სასაუბროდ „ალია“ ჯონდი ბაღათურიას დაუკავშირდა:**

**— ბატონო ჯონდი, რა შეკრებას ატარებთ, ჯერ ამაში გამარკვიეთ...**

– ეს არის დევნილთა, სოციალურად დაუცველთა, უმუშევართა და პენსიონერთა ყრილობა და არა პარტიის ყრილობა. პარტია უბრალოდ ამ ყრილობას უწევს ორგანიზებას. ჩვენ გვინდა სოციალური რეფორმების ლობირებაში ხალხის მხარდაჭერა, ამიტომაც მივმართეთ ხალხს. დიდხანს ვესაუბრეთ ხელისუფლებას ამ საკითხის შესახებ, ვითხოვდით სოციალურ რეფორმებს, მაგრამ ხელისუფლება ძირითადად საკუთარ კომფორტზე ფიქრით არის დაკავებული და ჯიბეების შევსებით. ამიტომ, გადავწყვიტეთ მხარდაჭერა ხალხისგან მივიღოთ და ამ მხარდაჭეით გავუწიოთ ლობირება სოციალურ რეფორმებს. ეს რეფორმა გულისხმობს საპენსიო რეფორმას, რომელიც ოთხსაფეხურიანია და რომელმაც საკმაოდ მაღალი შეფასება მიიღო ამ დარგის ყველა ექსპერტისგან.

**— ასეთს რას სთავაზობთ, ექსპერტებს რომ მოსწონთ და ხელისუფლება უარს გეუბნებათ?**

– საპენსიო რეფორმის მიხედვით პირველ ეტაპზე მინიმალური პენსია უნდა გაუთანაბრდეს საარსებო მინიმუმს. ჩვენ ვითხოვთ ცვლილებებს ბიუჯეტში და 25 ლარის დამატებას პენსიებზე. ამას ვთხოვთ ხელისუფლებას, რომლის შენახვა მარტო ხელფასებით, პრემიებით, ჯიპებითა და ასე შემდეგ, ჯამში 3 მილიარდ 299 000 მილიონი ლარი უჯდება ხალხს. აი, ასეთი ძვირად შესანახი ხელისუფლება გვყავს, ეს არის საბიუჯეტო მონაცემები.

მეორე საკითხი, რომელსაც ჩვენ ვითხოვთ, ეს არის დევნილთა შემწეობის გაზრდა საარსებო მინიმუმადე, 28 ლარია დღეს ეს თანხა. ასევე ვითხოვთ მარჩენალდაკარგულებისთვის და ინვალიდებისათვის თანხის საასრსებო მინიმუმამდე გაზრდას. ჩვენ მოვითხოვთ, საპენსიო ოვერდრაფტის, ე.წ. წინასწარ აღებულ პენსიაზე სპეკულაციურად მაღალი საპროცენტო განაკვეთის გაუქმებას, რომელიც 26% არის. 300 000-ზე მეტ პენსიონერს აქვს „ლიბერთი ბანკის“ საპროცენტო ვალი, რაც სრულიად უკანონოა. ასევე, ჩვენ მოვითხოვთ საპენსიო ასაკის შემცირებას, ქალებში 55 წლამდე და მამაკაცებში 60 წლამდე. ასევე მოვითხოვთ შრომის კოდექსის რეფორმირებას და ისეთის მიღებას, რომელიც დაიცავს მშრომელთა უფლებებს. რეალურად, მუშაც და გლეხიც ინვესტორის ხელში ყმა-გლეხად არის გადაქცეული, მონად და არა მუშად.

**— თქვენ იცით, რომ „ალია“ პერმანენტულად აქვეყნებს საბიუჯეტო ორგანიზაციების ხარჯებს. თქვენ რამე განსხვავებული დოკუმენტური მასალები გაქვთ? რის გამოქვეყნებას აპირებთ?**

– ეს არის ბიუჯეტზე დაყრდნობით გაკეთებული განცხადება, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების შენახვა ჯდება 3 299 000 000. ჩვენი შეკრების მიზანი, როგორც აღვნიშნე, არის ლობირება, რათა სოცილური რეფორმები განვახორციელოთ, წინასწარ გამოვიტან ინფორმაციას რაში იხარჯება ხალხის ფული, იმისათვის, რომ ავხსნა ეს ხარჯები. შეიძლება განახევრდეს ეს ხარჯები და მიმართული იქნეს სოციალური რეფორმებისაკენ. ხალხს უნდა ჰქონდეს არსებობის საშუალება და ნაგავში არ უნდა იქექებოდეს. ჩვენი მიზანი არაა ვინმეს კრიტიკა, ან განკითხვა, უბრალოდ გამოვიტან არამიზანშეწონილ, არამიზნობრივ ხარჯებს, რომლებიც რეალურად მილიონობით არის და ვიტყვით ამ ყველაფრით იმას, რომ ამ თანხებით სჯობს სოციალური რეფორმები ფინანსდებოდეს და არა ვიღაცის ჯიპები.

**— წეღანაც გკითხეთ, კონკრეტულად რა დოკუმენტებს მოიშველიებთ და წარადგენთ ყრილობაზე?**

– წარვადგენ დოკუმენტებს, რომლებშიც უაზროდ მაღალი ხელფასები და პრემიებია ასახული. ამაზე პრესაში იწერებოდა, მაგრამ თვალსაჩინოებისთვის წარვადგენ, რას შეიძლება მოაკლდეს თანხა, რომ ხალხის სოციალური მდგომარეობა გავაუმჯობესოთ.

**— რა იქნება ამის შემდგომი ნაბიჯი?**

– ჩვენი ამოცანაა მივილოთ ხალხის მხარდაჭერა ამ რეფორმების გატარებაში. რადგან წინ არჩევნებია მოსალოდნელი, უფრო ადვილია ზეწოლა ხელისუფლებაზე. რა თქმა უნდა, მოახლოებული არჩევნები უფრო განაწყობს ხელისუფლებას ხალხის აზრის მოსმენისაკენ. ჩვენ გვინდა ამ აზრის მხარდაჭერა მოვიპოვოთ ხალხისაგან და შემდგომში ამ აზრით განვახორციელოთ ზეწოლა. ეს წმინდა პოლიტიკური სვლაა ჩემი მხრიდან. როცა მეკითხებიან, კარგია პენსიის მომატება, მაგრამ როგორო, უნდა დავანახო, სხვა თუ მოიკლებს, როგორ შეიძლება დაფინანსდეს საპენსიო და სოციალური პროექტები, როგორ შეიძლება, ხალხი არ იქექებოდეს ნაგავში.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „რუსეთს ყირიმის ანექსია არ უნდა შერჩეს“



გერმანიის კანცლერმა, ანგელა მერკელმა გერმანიის პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ გერმანიამ ხელი უნდა შეუშალოს რუსეთს, უკრაინისთვის ყირიმის „მოპარვაში“.

„ის, რაც ყირიმში ხდება, ანექსიაა, რომელიც რუსეთს არ უნდა შერჩეს“, – განაცხადა კანცლერმა. მისივე თქმით, გერმანიამ გარკვეული სიხისტე უნდა გამოიჩინოს ევროპული ფასეულობების დაცვის საკითხში. მან ასევე ხაზი გაუსვა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შემოღებას და აღნიშნა, რომ მათ შესაძლოა, ნეგატიური შედეგი ჰქონდეთ ევროკავშირის ქვეყნებისთვის. „ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის ყველა ქვეყანა ლისაბონიდან რიგამდე, ერთიან აზრზე შეჯერდეს“, – განაცხადა მერკელმა. (ინტერპრესნიუსი)

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ განმეორებით აცხადებს №CONST-14/03 ღია კონკურსს სხვადასხვა სახარჯი მასალების შესყიდვასთან დაკავშირებით:**

ლოტი 9- სხვადასხვა ტიპის საკვალთი

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 14 აპრილი 15 საათი*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №INVO-14/06 ფასთა ღია გამოკითხვას მექანიკური სამუშაოებისათვის სხვადასხვა სახის დაზგის შეძენასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 27 მარტი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №CONST-14/06 ღია კონკურსს სპეც. ავტოტექნიკის შეძენასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ?2ა

წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 14 აპრილი 15 საათი

ექსკლუზივი

# რატომ გამოუშვეს „თბილავიამშენიდან“ პროფესიონალები?

**რა დამსახურების გამო დანიშნეს „თბილავიამშენში“ კადრები, რომლებიც არც პროფესიით შეესაბამებიან თანამდებობას და ვერც ფუნქციებში ერკვევიან?**

**ამ საკითხებზე „ალიას“ „თბილავიამშენის“ პრესსამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი ლამარა გელაშვილი ესაუბრა:**

– 28-წლიანი სტაჟი მაქვს საავიაციო ქარხანაში. ჟურნალის გამოშვება მომიწია, რომ „თბილავიამშენის“ ინვესტორებზე მემუშავა ქართველი ემიგრანტების ხელშეწყობით. ვაწარმოებდით რეკლამირებას, რა პროდუქცია გამოდიოდა და რა იყო პერსპექტივაში. ინვესტიციების მოძიებაც ჩემი მიზანი იყო, რათა ფული ჩადებულიყო. უცხოეთზე ამათი გასვლა მოხდა ჩემი საშუალებით, ვინაიდან საელჩოებთან და საკონსულოებთან მუდმივი კონტაქტი მაქვს. აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანასთან ერთ-ერთმა მეგობარმა ელჩმა მოძებნა ჯგუფი, რომელმაც შეკვეთების მოცემა დაიწყო. სისხლი დავაქციე, დღე და ღამე ტელეფონზე ვიყავი ჩამოკიდებული. ოქტომბრიდან დაიწყო ყველაფერი, მას შემდეგ, რაც „ოცნებამ“ გაიმარჯვა და ჩვენთან უჩა ძოძუაშვილი მოვიდა. მან სივრცე მთლიანად მიაბარა შოთა კვარაცხელიას, რომელიც არის მისი მოადგილე და ამავე დროს შპს-ს დირექტორი, ახალგაზრდა კაცია, 29 წლის. პრესსამსახური გააუქმეს სადღაც ოქტომბერში, საერთოდ უფროსის შტატი გამიუქმეს და გადამიყვანეს მთავარ სპეციალისტად. მე ამაზე აჟიოტაჟი არ დამიწყია, რადგან „დელტას“ პიარისთვის უნდა მემუშავა, ვიფიქრე, ალბათ, ასე იყო საჭირო საკადრო პოლიტიკისთვის და ხმა არ ამოვიღე. ეს მოხდა ოქტომბერში. ნოემბერში ოთახში შემოდის 21 წლის გოგონა, ჯერ კიდევ სტუდენტი, ბიზნეს-ადმინისტრირების, და მეუბნება, ქალბატონო ლამარა, თქვენ ეხლა ამ სკამიდან უნდა ადგეთ, მე მნიშნავენ დეპარტამენტის უფროსად და მაგიდა უნდა დამითმოთო. იმდენი მაგიდა გამომიცვლია, პრობლემას მაგიდის შეცვლა კი არ წარმოადგენდა, უბრალოდ, გაოცებული დავრჩი უპატივცემულობით. არც ბრძანება იყო, ან სტრუქტურა როდის შეიცვალა-მეთქი, და ბრძანება მალე იქნებაო. ვიფიქრე, თუ თავისი ჯგუფი უნდა შექმნას ამ კვარაცხელიამ და მე ამ ჯგუფის უფროსად არ მომიაზრებს, კიდევ ცოტახანს გავჩერდები, მოვიცდი-მეთქი. გაოცებული ვიყავი, სტუდენტი, რომელიც ჟურნალისტიც კი არ არის, არც პიარის სპეციალისტი, ჩემთვის რა დავალება უნდა მოეცა, სიტყვა „პიარის“ მნიშვნელობაც კი არ იცოდა.

მერე მირეკავენ და მეუბნებიან, ახლა ამ გოგონას სხვისმა კადრმა აჯობაო. თამარ გვარიშვილი იქნება პიარდეპარტამენტის უფროსიო. მოვიდა ეს თამარი. მე არ მიმხელდნენ და თურმე უკვე გადაწყვეტილია ჩემი გაგდება. 28 ნოემბრიდან უკვე გვარიშვილი მოვიდა ბრძანებით. მერე მოვიდა ბესო ზანგური, მსახიობი და რომელიც სპეციალისტად გააფორმეს, მერე კიდევ გააფორმეს ვინმე თამარ გაბედავა, რომელიც საერთოდ არ მოსულა რედაქციაში, მე უბრალოდ ბრძანება ვნახე. რომ ჰკითხოთ, სად არის პიარსამსახური, მართლა ვერ მოაგნებს, არ იცის. კადრებიდან დამირეკეს, ხელის მოსაწერად მაინც მოვიდესო. დაინიშნა 1600-ლარიან ხელფასზე. სამსახურში საერთოდ არ დადის. გვარიშვილსა და თიკა კუხიანიძეს დაუნიშნეს 2112 ლარი ხელფასი, გვარიშვილი არის იურისტი, რომელსაც უმუშავია „ანატომიაში“ პროდიუსერად. პროკურატურაშიც უმუშავია რომელიღაც წელს.

— **თუ სამსახურში არ დადიან და სპეციალისტები არ არიან, რატომ მიიყვანეს მანდ, მარტო ახლობლობის გამო?**

– ეს ხალხი მოიყვანეს გაჩუმების ან მათი წახალისების მიზნით. ვინაიდან მე მზად ვარ, გავიარო ნებისმიერი რანგის კონკურსი, როგორც ჟურნალისტმა, როგორც პიარსამსახურის უფროსმა, უსინდისოდ გამაგდეს და შემოიყვანეს 5 ადამიანი, მათგან არც ერთი არ არის ჟურნალისტი, არც ერთი არ არის სპეციალისტი. დეპარტამენტის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად მინიმუმ 3 წლის სტაჟია საჭირო, ახალი დებულებით კი ეს 1 წლამდე დაიყვანეს.

— **როგორც ვიცი, კონკურსი იყო გამოცხადებული, რომელშიც თქვენც მონაწილეობდით და ვინც დანიშნეს, უკონკურსოდ მიიღეს?**

– მხოლოდ მე გავიარე კონკურსი, მაგრამ უარყოფითი დასკვნა დადეს, რომ არ შევესატყვისები მთავარი სპეციალისტის თანამდებობას. ჩემს გარდა, საკვანძო თანამდებობებიდან გამოუშვეს ხალხი. სოცუზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციების უფროსი, „აიტი“ დეპარტამენტის უფროსი და შესთავაზეს ძალიან დაბალ ხელფასზე, 600 ლარზე მუშაობა. უთხრეს, რომ ხელშეკრულებას დაუდებენ 6 თვით, ამ დროის განმავლობაში ოღონდაც როგორმე იქ ყოფილიყვნენ, რომ არ ეჩივლათ. ერთადერთი კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციების უფროსმა იჩივლა გენინსპექციაში, მაგრამ გენინსპექცია რომ მოვიდა საწარმოში და ნახა ეს ხალხი, აბა, თქვენ რით ხართ უკმაყოფილოო, შიშით ვერ უთხრეს, რომ უკმაყოფილოები არიან. ეშინიათ, ისიც არ დაკარგონ, რაც აქვთ და ჩემს დღეში არ ჩავარდნენ.

— **თქვენ არ გაასაჩივრეთ?**

– საპრეტენზიო კომისია არსებობდა, სადაც შემეძლო 2 დღეში გამესაჩივრებინა ჩემი განთავისუფლება და შევიტანე საჩივარი. ჩემი გამოსვლის ვიდეოჩანაწერაც მიმდინარეობდა და მითხრეს, ჩანაწერი გაფუჭდაო, მომატყუეს. კომისიამ, რომლის ერთი წევრი იყო თავდაცვის სამინისტროდან და ორი ქარხნიდან, ჩათვალა, რომ კანონდარღვევით იყო ჩემს გაშვებასთან დაკავშირებით ოქმი შევსებული, რეკომენდაცია მისცა უჩა ძოძუაშვილს სასწრაფოდ აღვედგინე სამსახურში. აღდგენის საბუთი მომივიდა. ახლა მატყუებენ ერთი კვირა მოიცადე, ორი კვირა მოიცადეო. ძალიან გავმწარდი, მივხვდი, რომ ეგენი არავის აღდგენას არ აპირებენ.

**„ალია“ კომენტარისთვის კომპანიის აღმასრულებელ დირექტორს, შოთა კვარაცხელიას დაუკავშირდა:**

— **ბატონო შოთა, კონკურსის შედეგად აიყვანეთ ახალი თანამშრომლები და ძველი ჩაანაცვლეთ?**

– დიახ. გამოცხადებული იყო კონკურსი, ყველა მსურველმა, ვინც მოთხოვნებს აკმაყოფილებდა, მიიღო მონაწილეობა ამ კონკურსში, რომელიც დაიდო საჯაროდ ვებგვერდზე. შემდეგ რეზიუმეებიდან გამომდინარე, კანდიდატები გადავიდნენ გასაუბრებაზე მეორე ტურში. შემდეგ მოხდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და კომისიამ დაამტკიცა კანდიდატები.

— **სტუდენტი როგორ იქნება 28 წლის სტაჟის მქონე ადამიანის ჩამნაცვლებელი ობიექტურად, თუ მისი დანიშვნის სხვა ინტერესი არ არსებობს? ლოგიკურად გეკითხებით.**

– არსებობს კონკურსის ჩატარების შესაბამისი პროცედურა, რომელიც დამტკიცებულია საჯარო სამსახურისა და მასთან გათანაბრებული პირებისთვის. ობიექტურად ჩატარდა. კონკრეტულ შემთხვევაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ როგორი გადაწყვეტილებაც მიიღო კომისიამ, ისე მოხდა. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ძველი თანამშრომლები ახლით შეიცვალა, ისევ კანონის მოთხოვნისამებრ. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი სამსახური იქცეს ბრენდად მისი ყველა პარამეტრის შესაბამისად. ეს იქნება ახალი მენეჯმენტის ამოცანა.

**ლამარა გელაშვილის განცხადებით, სამართლიანობის აღსადგენად ის არასამთავრობოებს მიმართავს და უკანონობას არავის აპატიებს.**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

თამ
TAM
SINCE 1941

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კობა ნაყოფია კაზრეთის მოვლენებში პოლიტიკურ მოტივაციას ვერ ხედავს



უმცირესობის წევრი კობა ნაყოფია კაზრეთის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებში პოლიტიკურ მოტივაციას ვერ ხედავს. ნაყოფია, რომელიც 2006-2013 წლებში RMG Gold-ისა და RMG Cooper-ის წილის მფლობელი იყო, აცხადებს, რომ წარმოქმნილი პრობლემა მთლიანად დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის ურთიერთობებს ეხება.

„ხალხის სურვილია, გაიუმჯობესოს სოციალური მდგომარეობა, ხელფასი. ამასთანავე, ნუ დაგვავიწყდება, რომ კომპანია, რომელსაც მე აღარ წარმოვადგენ, იმყოფება ძალიან რთულ სიტუაციაში. ჩემი აზრით, ყველაზე კარგი და სწორი გამოსავალი იქნება, თუ გამოიძებნება კონსენსუსი კომპანიასა და გაფიცულებს შორის, დარწმუნებული ვარ, რომ ეს კონსენსუსი აუცილებლად შედგება. არ შეიძლება მსხვილი კომპანია იყოს პარალიზებული, რადგან ეს უკავშირდება ბიუჯეტში შენატანებს, სოციალური ვალდებულების შესრულებას, რეგიონისა და ქვეყნის განვითარებას. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი კომპანია საქართველოში, რომლის ინტერესებიც მნიშვნელოვანია რეგიონისთვის, ქვეყნისთვის და იქ დასაქმებული ადამიანებისთვის“, – აცხადებს ნაყოფია. (ინტერპრესნიუსი)

## ბელორუსის საგანგებო სიტუაციების მინისტრი „112“-ს ესტუმრა



ბელორუსის საგანგებო სიტუაციების მინისტრი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ვაშჩენკო დელეგაციასთან ერთად, შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრს ესტუმრა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, მინისტრმა დელეგაციასთან ერთად დაათვალიერა „112“-ის შენობა და ადგილზე გაეცნო ცენტრის მუშაობის სპეციფიკას. „112“-ის წარმომადგენლებმა სტუმრებს პრეზენტაცია გაუკეთეს საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრის ფუნქციებისა და სამომავლო გეგმების შესახებ. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ბელორუსსა და საქართველოს შორის სამომავლო თანამშრომლობის გეგმები. (ინტერპრესნიუსი)

## იუსტიციას სარეზერვო ფონდიდან 1 091 500 ლარი გამოეყო



იუსტიციის სამინისტროს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 1 091 500 ლარი გამოეყო. პრემიერ-მინისტრის დადგენილების თანახმად, სამინისტროს აღნიშნული თანხა სახელმწიფოს საერთაშორისო საარბიტრაჟო დავების წარმოების მიზნით იურიდიული მომსახურების შესყიდვისთვის და საქართველოს კანონმდებლობით მასთან დაკავშირებული გადასახადების დასაფინანსებლად გამოეყო. კონკრეტულად რომელ საარბიტრაჟო დავებზეა საუბარი, იუსტიციის სამინისტროში არ აკონკრეტებენ.

„კონკრეტულად რომელ დავებზეა საუბარი, ეს არასდროს არ არის ღია ინფორმაცია. საარბიტრაჟო დავებს სახელმწიფო წლების განმავლობაში აწარმოებს. ეს არის პროცესი. ამ შემთხვევაში ყველა ადრინდელი დავაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ვალდებულებები არ აქვს. სწორედ ამ ვალდებულებების შესასრულებლად გამოიყო აღნიშნული თანხა“, – განაცხადა სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მარიამ სხილაძემ. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# ექსკლუზივი



# ვინ გვისმენს ფარულად — „ნაცმოძრაობა“ თუ შსს?!

უკვე ერთი კვირაა, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები მიზანმიმართულ კამპანიას აწარმოებენ – ტელევიზიებით ყოველდღიურად უშვებენ მტკიცებულებითი ფორმის „რეკლამას“: „ეს შენ გეხება – ისევ გვისმენენ“. 11 მარტს ამ თემაზე „რუსთავი 2“-ის ეთერშიც (გადაცემა „არჩევანი“) იყო ერთი ამბავი: შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ლევან იზორიამ სწორედ ამ საკითხში „გაჭედა“ არასამთავრობოების წარმომადგენლები (ეკა გიგაური, კახა კოჟორიძე და სხვები), კონკრეტულ ფაქტებს ვერ დებთ და შავ პიარს რატომ აგორებთ, თითქოს ყველას გისმენენო? ჩვენ შევარდნაძიდან მოყოლებული, „ნაციონალებით“ დამთავრებული, ამ მხრივ, ძალიან ცუდი „გამოცდილება“ გვაქვს და არც ისაა გამორიცხული, პრაქტიკა ისევ გრძელდებოდეს, მაგრამ, როცა ამხელა კამპანიას იწყებ და დიდ ფულს ხარჯავ არასამთავრობოების ხელით, იმდენი მაინც უნდა იცოდე, რომ ტელეფონში ხმის გამეორება და შიშხინი მტკიცებულებად არ გამოდგება. ერთადერთი, რასაც არასამთავრობოები ეყრდნობიან, თურმე ის არის, რომ „ჯეოსელის“ რომელიღაც ოპერატორმა თქვა: ხალხო, ისევ გისმენენ, ფრთხილად იყავითო.

„ნაციონალების“ ზეობის ხანაში რომ ძალოვან უწყებებს ყველა მობილური ქსელის მოსმენა შეეძლოთ, ამას არც „ჯეოსელის“ წარმომადგენლები უარყოფენ, არც „ბილაინის“ და არც „მაგთის“. რა იყო „ნაციონალების“ პერიოდში, ამის შესახებ ყველამ ვიცით, ახლა მთავარია, დადგინდეს, დღესაც გვისმენს თუ არა ტოტალურად შინაგან საქმეთა სამინისტრო? როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელი, ნინო ლომჯარია ამბობს: „ახალი ხელისუფლების პირობებში განადგურდა გარკვეული ამბობს, წინა ხელისუფლების პირობებში არსებული პრაქტიკა ისევ გრძელდებაო, შემდეგ კი ამტკიცებს, ძალიან დიდი შანსია, ხელისუფლებამ იგივე მეთოდები გამოიყენოს თვალთვალისა და მიყურადების კუთხითო. კი, ბატონო, ამ მხრივ კანონმდებლობა შესაცვლელია და საქართველოში უკანონო მოსმენები წარსულს უნდა ჩაბარდეს, მაგრამ როცა არასამთავრობოების უკვე „გაცვეთილი“ სახეები მუდმივად შინაგან საქმეთა სამინისაგენტურის ბრალია? ჯერ პროკურატურას პირი არ აქვს გაღებული, უკვე „ნაცბანდა“ აკეთებს განცხადებას“.

ცნობისთვის: დღეს ფარული მიყურადების საკითხს არეგულირებს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონი“. ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებს, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უფლება აქვთ, მიუერთდნენ კავშირგაბმულობის საშუალებებს და კომპიუტერულ ქსელებს იმისთვის, რომ მოახდინონ ინფორმაციის ფიქსაცია. ამისთვის მათ კავშირგაბმულობის ქსელებისა და მობილური ოპერატორების ნებართვიდეომასალა, დაიწყო მუშაობა კანონპროექტზე, ეს გვაძლევდა საფუძველს, გვეფიქრა, რომ ხელისუფლება აპირებდა ქმედითი ნაბიჯების გადადგმას, მაგრამ ვხედავთ, რომ კანონის განხილვის პროცესი ჭიანურდება... წინა ხელისუფლების პირობებში არსებული პრაქტიკა გრძელდება, შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ პირობებში თავს კომფორტულად გრძნობს. ისევ არსებობს ე.წ. შავი ყუთები, რომლის მეშვეობითაც სამართალდამცავ ორგანოებს ყოველგვარი სასამართლო ნებართვის გარეშე მიუწვდებათ ხელი პირად მიმოწერაზე. დაახლოებით 21 000 აბონენტის მოსმენა შეუძლიათ ამ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ძალიან დიდი შანსია, ხელისუფლებამ იგივე მეთოდები გამოიყენოს თვალთვალისა და მიყურადების კუთხით, რასაც წინა ხელისუფლება იყენებდა და ჩვენ არ გვინდა ეს დავუშვათ“.

მე ქართველი ძალოვნების ადვოკატად ნამდვილად არ გამოვდგები, მაგრამ, როგორც ხედავთ, ნინო ლომჯარია ჯერ ტროში სხედან და ყველა საკითხში ცხვირი აქვთ ჩაყოფილი, როცა კანონების წერაშიც თავად მონაწილეობენ და „ნაციონალების“ მიერ გადაღებულ 28 ათას ფაილსაც თვითონვე ანადგურებენ, ამის შემდეგ რატომღა აგორებენ კამპანიას? რასთან გვაქვს საქმე – ადგილობრივი არჩევნების წინ შიშის დანერგვასთან და „ნაციონალების“ სასარგებლოდ თამაშთან ხომ არა? საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ეკა ბესელიას თქმით, თუ ახალი ხელისუფლების პერიოდში ერთი კონკრეტული ფაქტი მაინც დასახელდება უკანონო მოსმენის, ან მიყურადებისა, ამაზე რეაგირება იქნება უმკაცრესი.

როგორც ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი, თამაზ ბაკურიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, „ნაციონალებს“ დღესაც გააჩნიათ ის მოსასმენი აპარატურა, რომელიც თავის დროზე საქართველოში ვანო მერაბიშვილმა ჩამოიტანა:

„ახლა ისმება კითხვა, სად წავიდა ყველაზე ძვირადღირებული აპარატურა, რომელიც ვანო მერაბიშვილმა შემოიტანა საქართველოში? სადაც „ნაციონალებმა“ დაამონტაჟეს, დღესაც იქ დევს. მე ვიცი, რომ ბათუმში ეს აპარატურა არსებობს... „ნაციონალებამდე“ იქ სპეცგანყოფილება იყო, მაგრამ მაშინ არ ჰქონდათ ულტრათანამედროვე ტექნიკა. ბათუმში არის მეორე, ცოტა შემაღლებული ადგილი, საიდანაც მთელ საქართველოს კი არა, ამიერკავკასიასაც აკონტროლებდნენ. ჩემთან ერთად ციხეში იჯდა ერთი ადამიანი, რომელიც თავის დროზე ამ საქმეზე მუშაობდა. როგორც მან მითხრა, 1999 წელს ასლან აბაშიძემ შეისყიდა უახლესი აპარატურა, რომლის მეშვეობითაც მოსმენები ხორციელდებოდა თბილისშიც კი.

წინა ხელისუფლება ოსტატურად იყენებს თავისივე დაშვებულ შეცდომებს და დანაშაულებს, „ნაციონალებმა“ ძალიან კარგად იციან, რა აქვთ შემოტანილი, რა აქვთ დამონტაჟებული და ცდილობენ, იმ კუთხიდან შეუტიონ ახალ ხელისუფლებას. იგივე არასამთავრობოები, რომლებიც 9 წლის განმავლობაში, რატომღაც, ხმას არ იღებდნენ, ახლა გააქტიურდნენ... უბრალოდ, მე ცილს არავის ვწამებ, ამათ უკან ერთი მხრივ „ნაციონალური“ თანხები, მეორე მხრივ – დასავლური გრანტებია. არ დაგავიწყდეს, ორივე შემთხვევაში ყველაფერი მაინც მოდის კრუნჩხვებში ჩავარდნილი „ნაციონალებისგან“. ჩემი ინფორმაციით, დღეს „ნაციონალებს“ აქვთ აპარატურა, რომლის მეშვეობითაც ისევ უსმენენ ადამიანებს. აი, ჯერ ეს უნდა გამოიძიოს პროკურატურამ. ვანო მერაბიშვილი დაჭერამდე პრემიერ-მინისტრიც იყო და არც იმდენად სულელია, რომ ყველაფერი გადაეცა ახალი ხელისუფლებისთვის. ერთი აპარატურა იყო ოფიციალურად, საიდანაც მოსმენა ხდებოდა მხოლოდ სასამართლოს ნებართვით, ხოლო მეორე აპარატურა მუშაობდა არაოფიციალურად. ახლა გასარკვევია, სად არის ოფიციალური და არაოფიციალური აპარატურა, ვის ხელშია? დაუკვირდი, როგორც კი „ოცნება“ რაღაცას დაგეგმავს, „ნაციონალებმა“ ამის შესახებ უფრო ადრე იციან, გამოვარდებიან ხოლმე და აკეთებენ განცხადებებს. გგონია, ეს მარტო ცოცხალივა არ სჭირდებათ. არასამთავრობოები ითხოვენ, რომ ეს მუხლი შეიცვალოს და ყველაფერი დაექვემდებაროს სასამართლოს, მაგრამ თუ ასე მოხდება, მაშინ ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს უშიშროება და სამძებრო საქმიანობა. მაგალითად, ისრაელში, უშიშროების სამსახურს მოსმენის ნებართვა შეუძლია მიიღოს პრემიერ-მინისტრისგან ან თავდაცვის მინისტრისგან სასამართლო კონტროლის გარეშე. შეერთებულ შტატებში, კოდექსის 3124-ე მუხლის თანახმად, კომუნიკაციების მიმწოდებელი ვალდებულია, მიაწოდოს სამართალდამცავ ორგანოებს ყველა ინფორმაცია, აპარატურა და გაუწიოს მას ტექნიკური ხასიათის დახმარება, რაც საჭიროა შესაბამისი მოსასმენი აპარატურის დასამონტაჟებლად (მოთხოვნის შესაბამისად). თუმცა ეს ყველაფერი მაინც არ უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ ძალოვნებმა ყველას მოუსმინონ პოლიტიკური შანტაჟისთვის.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შიხიაშვილი „პარტიზანული მებაღეობის“ წარმომადგენლებს შეხვდა



თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი მოძრაობა „პარტიზანული მებაღეობის“ წარმომადგენლებს შეხვდა. მოძრაობის წევრები უკვე 2 თვეა, ვაკის პარკში ყოფილ რესტორან „ბუდაპეშტის“ ტერიტორიაზე შვიდსართულიანი სასტუმროს მშენებლობას აპროტესტებენ. როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ აქციის მონაწილეებს განუმარტა, მერიის მხრიდან ანალოგიურ ფართებზე ისე ხდებოდა მშენებლობის ნებართვების გაცემა, რომ საზოგადოებრივი ინტერესი არ იყო შესწავლილი.

„ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, პირველ რიგში აუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა გარემო. ბიზნესი კარგია, მაგრამ უჰაეროდ ცხოვრება შეუძლებელია“, – განაცხადა შიხიაშვილმა და საკითხის გაცნობის მიზნით აქციის მონაწილეები 14 მარტს საკრებულოში დაიბარა.

საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარის თქმით, შეხვედრაზე მოძრაობის წევრებთან ერთად იქნებიან შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები, სადაც მხარეებს საშუალება ექნებათ, იმსჯელონ და კანონის ფარგლებში მინიმუმამდე დაიყვანონ აღნიშნული პრობლემა, ისე, რომ არც ინვესტორი დაზარალდეს და არც გარემო.

საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე არასწორად მიიჩნევს ვაკის პარკში რაიმე ობიექტის განთავსებას და აცხადებს, რომ მიმდებარე ტერიტორია თბილისელებისთვის მოსასვენებელ ადგილს წარმოადგენს.

როგორც კახაბერ ფირუაშვილმა აღნიშნა, ინვესტორისთვის სხვა ფართის შეთავაზება მერიის პრეროგატივაა, თუმცა საკრებულოს დეპუტატები სხდომაზე აუცილებლად წამოაყენებენ ამ საკითხს და თბილისის მთავრობას მშენებლებისთვის ალტერნატიული მიწის გამოყოფას სთხოვენ. (ინტერპრესნიუსი)

## უსუფაშვილი დარწმუნებულია, რომ კონკურსი შედეგიანად დასრულდება



პარლამენტის თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ფორმირების პროცესი გამოცხადებული კონკურსის შედეგად დასრულდება.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს შექმნის პროცესი დასრულდა იმით, რომ 9 ვაკანსიიდან მხოლოდ ოთხი შეივსო. ამ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს, რომ, თუ ვაკანსიები დარჩა, მაშინ კონკურსი თავიდან უნდა გამოცხადდეს. შესაბამისად, გამოიცა პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება, რომლითაც 5 ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატების შესარჩევად კონკურსი გამოცხადდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც პროცედურულად წინა პროცესში დაიწყო, განმეორდება“, – განაცხადა უსუფაშვილმა.

მან ყურადღება გაამახვილა საკონკურსო კომისიაზეც.

„პროცესის მიმართ ნდობის ასამაღლებლად უსაფუძვლო კითხვებზე საფუძვლიანი პასუხის გასაცემად გვქონდა კონსულტაციები იმასთან, ვისთანაც საჭირო იყო და მიღწეულია შეთანხმება, რომ პარლამენტს უახლოეს სხდომაზე იგივე შემადგენლობით 9-კაციანი საკონკურსო კომისია წარედგინება“, – აღნიშნა უსუფაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი

# როგორ „იგულავა“ და რა თანხა დახარჯა უგულავას მერიის აპარატმა პირად კომფორტში

**თბილისის მერიის ზღაპრულ ხარჯებზე, გადახარჯვებზე, „ატკატებზე“ და „აორთქლებულ“ მილიონებზე „ალია“ არაერთხელ წერდა. ამჯერად გთავაზობთ მერიის აპარატის იმ ხარჯებს, რომლებიც დოკუმენტურად დასტურდება.**

**„ალიას“ ფინანსისტი, „მეწარმეთა უფასო დახმარების ცენტრის“ დამფუძნებელი გიორგი ჩახაია ესაუბრა:**

**— ბატონო გიორგი, რა სახის დოკუმენტები შეისწავლეთ? რა ძირითადი მიმართულებები იყო საინტერესო მერიის ხარჯებიდან?**

– სოლიდური თანხები დაიხარჯა ავტოსატრანსპორტო საშუალებების, საოფისე ტექნიკის, მობილური ტელეფონის აპარატების, სარესტორნე და სასტუმრო მომსახურების შესყიდვების მიმართულებით. თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ ეს მონაცემები ეხება მხოლოდ მერიის აპარატის ხარჯებს და მასში არ შედის მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებებისა და ასევე თბილისის რაიონების გამგეობების ხარჯები.

**— დავიწყოთ მანქანებით...**

– თბილისის მერიამ შეიძინა 1 487 986 ლარის ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალებები. განსაკუთრებულად ძვირადღირებული ავტომობილების შესყიდვას გასულ წელს ადგილი არ ჰქონია, მაგრამ რაოდენობრივად ბევრი ახალი ავტომობილი იქნა შეძენილი. აი, დავუშვათ, ერთი კონკრეტული ხელშეკრულებით შეძენილ იქნა 799 999 ლარის ღირებულების 47 ახალი ავტომობილი, ძირითადად, „ჰიუნდაის“ მარკის სედანის ტიპის ავტომობილები, თუმცა ასევე შეძენილია სხვა მარკის ავტომობილებიც. ავტოტექმომსახურებასა და რეცხვაზე, მერიის აპარატმა დადო 340 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, ხოლო საწვავის შეძენაზე – 1 891 470 ლარის. „ლუკოილ ჯორჯიასთან“ არის დადებული ხელშეკრულებები საწვავის მიწოდების თაობაზე.

**— ტრადიციულად, სამინისტროები და უწყებები ავეჯში სოლიდურ თანხებს ხარჯავდნენ. მერიას რა ხარჯები აქვს ამ მიმართულებით?**

– 2013 წლისთვის, თბილისის მერიამ ავეჯის შესაძენად გაიღო 294 478 ლარი. შემიძლია დაგისახელო შესყიდვის რამდენიმე ფაქტი. მაგალითად, 3800 ლარად შეძენილია ოვალური მაგიდა, 4000 ლარად – ნატურალური ტყავის სამეული.

გარდა ამისა, შეძენილი აქვთ 692 115 ლარის ღირებულების საოფისე ტექნიკა და მათ შორის ძირითადი გახლდათ კომპიუტერული ტექნიკა, საერთო ღირებულებით 656 006 ლარი. მინდა გამოვყო რამდენი კონკრეტული შესყიდვის ფაქტი, რაც პირადად ჩემთვის თვალშისაცემი იყო. ერთი კონკრეტული ხელშეკრულებით შეძენილია 350 ცალი ახალი პერსონალური კომპიუტერი, რაშიც დაიხარჯა 435 900 ლარი. გარდა ამისა, არსებობს შემდეგი შეძენის ფაქტებიც: 4200-ლარიანი „ლენოვოს“ ფირმის პორტატული კომპიუტერი, იგივე „ლენოვოს“ ფირმის 3700-ლარიანი 5 ცალი ე.წ „ტაბლეტების“ შესყიდვა და 3990-ლარიანი 2 ცალი ნოუთბუქის შეძენა, ასევე, 6 ცალი ე.წ. „აიპედის“ შეძენა, საცალო ღირებულებით 1454 ლარი. რაც შეეხება მობილური ტელეფონის აპარატებს, სულ შეიძინეს 34 094 ლარის ღირებულების და, მათ შორის მინდა გამოვყო 17 ცალი „აიფონ 5“, რაშიც გადახდილი იქნა 24 986 ლარი, ანუ თითოეულში საშუალოდ 1469 ლარი.

| # | საქონლის დასახელება | საქონლის ძირითადი მახასიათებლები | რ-ობა | განზ. | ერთ. ფასი | საერთო ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მაგიდის კომპიუტერი (A - ტიპი) | დესკტოპი Fujitsu ESPRIMO P710 E85+/ პროცესორი - Core i3-3220 ტაქტური სიხშირე 3.30 GHz, ქეში: 3 MB, 2 ბირთვი, ნაკადების რაოდენობა 4; მეხსიერების მაქსიმუმი 32გბ; მეხსიერების ტიპი DDR3-1333/1600; გამტარუნარიანობა 25,6 გბ/ს; ვიდეო - საბაზო სიხშირე 650 MHz; მაქსიმალური დინამიური სიხშირე 1,05 MHz; ოპერატიული მეხსიერება - 1 ცალი 4გბ-ანი მოდული, ტიპი: PC3-12800 1600MHz DDR3 (32გბ-მდე გაზრდის საშუალებით); მყარი დისკი - 500GB, რაოდენობა: 1 ცალი. სიჩქარე: 7200ბრ/წთ, ტიპი: SATA III; დისკების ოპტიკური წამკითხველი/ჩამწერი - DVD+-RW/; დედა-პლატა: კონტროლერები: SATA II და SATA III; ჩაშენებული ქსელის ადაპტერი 10/100/1000 MBit/s; პორტები: 10 ცალი USB, აქედან 4 ცალი; USB 3.0 სისტემური ბლოკის წინა პანელზე 2 ცალი USB 3.0 და 2 ცალი USB 2.0; 1 ცალი eSATA; 1 ცალი DVI; ჩაშენებული აუდიო პლატა; ჩაშენებული ვიდეო პლატა; ჩიპსეტი Q75; კლავიატურა - USB; მაუსი USB; მონიტორი Fujitsu Slim L22T პანელის ტიპი - LED backlight panel; ზომა - 21.5 დიუმი; რეზოლუცია -1920X1080; განათებულობა - 250 cd/m; კონტრასტულობა - 5,000,000:1 დინამიური და 1,000:1 სტატიკური; ხედვის კუთხე - ჰორიზონტალური/ვერტიკალური 178° / 170°; გამოხმაურების დრო - 5 ms; დინამიკები - ინტეგრირებული; ინტერფეისი - DVI | 300 | ცალი | 1,165.00 | 349,500.00 |
| 2 | მაგიდის კომპიუტერი (B - ტიპი) | დესკტოპი Fujitsu ESPRIMO P910 E85+/ პროცესორი -Core i5-3570 ტაქტური სიხშირე 3.40 GHz, ქეში: 6 MB, 4 ბირთვი, ნაკადების რაოდენობა 4; მეხსიერების მაქსიმუმი 32გბ; მეხსიერების ტიპი DDR3-1333/1600; მაქსიმალური გამტარუნარიანობა 25,6 გბ/ს ვიდეო - საბაზო სიხშირე 650 MHz; მაქსიმალური დინამიური სიხშირე 1,55 MHz; ოპერატიული მეხსიერება - 2 ცალი 4გბ-ანი მოდული, ტიპი: PC3-12800 1600MHz DDR3 (32გბ-მდე გაზრდის საშუალებით); დისკი - SSD 128GB, რაოდენობა: 1 ცალი, ტიპი: SATA III; 500GB, რაოდენობა: 1 ცალი, სიჩქარე: 7200ბრ/წთ, ტიპი: SATA III; დისკების ოპტიკური წამკითხველი/ჩამწერი - DVD+-RW/ვიდეო ბარათი - NVIDIA NVS 300 512MB DDR3, მეხსიერების გამტარუნარიანობა:12,6 გბ/წამი, CUDA პროცესორის ბირთვები: 16 ცალი, PCIe x16, ორი მონიტორის მიერთების მხარდაჭერით(ოთხი მონიტორამდე გაფართოების საშუალებით), პორტები: DisplayPort; დედა-პლატა: კონტროლერები: SATA II და SATA III; ჩაშენებული ქსელის ადაპტერი 10/100/1000 MBit/s; პორტები: 10 ცალი USB, აქედან 4 ცალი USB 3.0. სისტემური ბლოკის წინა პანელზე 2 ცალი USB 3.0 და 2 ცალი USB 2.0; 1 ცალი eSATA; ჩაშენებული აუდიო პლატა; ჩიპსეტი Q77; კლავიატურა - USB ; მაუსი USB/ მონიტორი Fujitsu L24T ; პანელის ტიპი - LED backlight panel; ზომა - 24 დიუმი; რეზოლუცია - 1920X1080; განათებულობა - 250 cd/m; კონტრასტულობა - 20,000,000:1 დინამიური და 1,000:1 სტატიკური; ხედვის კუთხე - ჰორიზონტალური/ვერტიკალური 170°/160°; გამოხმაურების დრო - 5 ms; ინტერფეისი – DVI (HDCP) (შესაბამისი კაბელით მეორე ვიდეო ბარათთან მისაერთებლად) | 50 | ცალი | 1,728.00 | 86,400.00 |
| | | სულ ჯამი: | | | | 435,900.00 |

**— ახლა რესტორნებზე გადავიდეთ, მაინტერესებს, როგორი მადა აქვთ?**

– მართლაც შთამბეჭდავი თანხაა სარესტორნე მომსახურებაზე. სულ 2013 წლისთვის ამ მიმართულებით დაიდო 290 348 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები. რამდენიმე ხელშეკრულების შესახებ შემიძლია, მონაცემები მოგაწოდოთ. აი, დავუშვათ, „თბილისობა 2013“-თან დაკავშირებით, თბილისის მერია 260 პერსონას გაუმასპინძლდა რესტორან „ფუნიკულიორში“, რაშიც დახარჯა 31 980 ლარი. იმავე „თბილისობა 2013“-თან დაკავშირებით, 500 პერსონას უმასპინძლა მდინარე მტკვარზე მოცურავე ტივზე, რაშიც დაიხარჯა 32 000 ლარი.

**— სასტუმროს ხარჯები თუ ჰქონდა მერიას?**

– სასტუმრო მომსახურებაზე მერიამ 2013 წელს, სულ, დადო 202 457 ლარის ხელშეკრულებები. შემიძლია, მოგახსენოთ ერთი კონკრეტული შესყიდვის ფაქტიც. „თბილისობა 2013“-თან დაკავშირებით ჩამოსული უცხოელი სტუმრების დასაბინავებლად, მერიამ დადო ხელშეკრულება სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასთან“ და ამ მომსახურებაში გადაიხადა 27 900 ლარი.

ბოლოს, მინდა ვისაუბრო, საჩუქრებზე, სხვადასხვა საკვებ პროდუქტებსა და სასმელებში დახარჯულ თანხებზე. დავიწყებ საჩუქრებით. სულ შეძენილია 80 905 ლარის ღირებულების სასაჩუქრე ნივთები. მინდა აღვნიშნო რომ, რამე განსაკუთრებულად ძვირადღირებული ნივთის შეძენა არ მომხდარა, უბრალოდ, მოხდა დიდი რაოდენობით. რაც შეეხება საკვებ პროდუქტებსა და სასმელებს, ძირითადად შეძენილია ყავა, ჩაი და გაზირებული სასმელები, რაზეც დაიდო 87 144 ლარის ხელშეკრულებები. ვინაიდან მუდამ გაინტერესებს შესყიდული ყავის ცალკე მონაცემები, შემიძლია გითხრა, რომ სულ 2013 წელს შეძენილ იქნა 24 334 ლარის ღირებულების 273 კილოგრამი ყავა.

მოკლე შეფასება, რაც შემიძლია გავაკეთო ამ მონაცემებზე, ის არის, რომ, როგორც ყოველთვის, არ არის არანაირი საჭიროება ნებისმიერ საჯარო დაწესებულებას ჰყავდეს ამ მასშტაბის ავტოპარკი, მოახდინონ ისტერიული კომპიუტერიზაცია, თანამდებობის პირები სარგებლობდნენ მაინცდამაინც „აიფონ 5“-ებით, რესტორნებში დაიხარჯოს დიდი მოცულობის საბიუჯეტო სახსრები და თუნდაც უცხოელი სტუმრები დავაბინაოთ უმაღლესი კლასის სასტუმროებში. საქართველო არ არის ეკონომიკურად იმდენად ძლიერი ქვეყანა რომ, ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციისა და სახელმწიფო კომპანიის მიერ ამ მიმართულებით გაწეული ხარჯები, საერთო ჯამში ასეულობით მილიონ ლარს შეადგენდეს.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16



**ავტომანქანებში — 1 487 986 ლარი; ავტოტექმომსახურებასა და რეცხვაში — 340 000 ლარი; საწვავში — 1 891 470 ლარი; საოფისე ტექნიკაში — 692 115 ლარი; კომპიუტერებში — 435 900 ლარი; ავეჯში — 294 478 ლარი; სარესტორნე მომსახურებაში — 290 348 ლარი; სასტუმროებში — 202 457 ლარი; ყავა, ჩაი და გაზიან სასმელებში — 87 144 ლარი; საჩუქრებში — 80 905 ლარი; მტკვარზე მოცურავე ტივზე ქეიფში — 32 000 ლარი; მობილურ ტელეფონებში — 34 094 ლარი.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## მოსამართლეთა რაოდენობა, შესაძლოა, კანონმა განსაზღვროს



უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა, შესაძლოა არა უზენაესი სასამართლოს პლენუმმა, არამედ კანონმა განსაზღვროს. აღნიშნული ინიციატივა იუსტიციის სამინისტრომ სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისო კომისიის საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე წარადგინა.

„თუ რამდენი მოსამართლე უნდა იყოს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, ეს საკითხი მიტოვებულია მთლიანად უზენაესი სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილებაზე. თუ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ჩათვლის, რომ, მაგალითად, 15 კი არა, 25 მოსამართლე სჭირდება, შეკრებს პლენუმს და პლენუმი გადაწყვეტს. ჩვენი მიზანია, რომ ეს პლენუმის უფლებამოსილება კი არ იყოს, არამედ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების რიცხოვნობაც დაადგინოს კანონმა. ეს მოგვცემს საშუალებას, რომ საქართველოს მოქალაქეებმა იცოდნენ რამდენი მოსამართლეა უზენაეს სასამართლოში და არ იყოს ეს რომელიმე პლენუმის ან რომელიმე თავმჯდომარის მანიპულირების საგანი. გარდა ამისა, ბიუჯეტს სჭირდება განჭვრეტადობა და როდესაც ფინანსთა სამინისტროს ეცოდინება, რამდენი უზენაესი მოსამართლეა კანონით დადგენილი წესით, ეს არ იქნება მუდმივად ცვალებადი მოცემულობა, რამაც შეიძლება დარტყმა მიაყენოს სახელმწიფო ფინანსებს“, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტრომ წარმოადგინა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ახლებურად არეგულირებს საკასაციო სასჯელ-საჩივრის გასაშვებობის საფუძვლებს.

„ნაციონალების“ მმართველობის დროს უზენაეს სასამართლოს მიენიჭა ერთადერთი უფლებამოსილება; ეს არის კონვეიერის წესით, ავტომატურად დაუშვებლად ცნობენ საჩივრებს და იქ რეალურად, წინა ინსტანციებში დაშვებული შეცდომების გამოსწორების არანაირი საშუალება არ არსებობს. გვინდა, რომ ეს გავაფართოოთ, რომ სასამართლომ რეალურად განიხილოს საჩივარი და თუ საქმე გადასასინჯია, მას ჰქონდეს საშუალება გამონაკლის შემთხვევებში, რომ დარღვეული უფლებები ბრალდებულის, განსასჯელის გამოასწოროს უზენაესის საბოლოო დონეზე. ეს თავიდან აგვაცილებს სტრასბურგში გაგზავნილი საქმეების ზრდას“, – განაცხადა წულუკიანმა. (ინტერპრესნიუსი)

## ნასვამმა მძღოლმა ავტომობილი სახლში... მიაგორა



ხომ იცით, სვანი რომ მოტოციკლს იყიდის, ზურგზე მოიგდებს და სოფელში ასე გასწევს. გზაში ნაცნობი შეხვდება და „რას შვრებიო“, – ჰკითხავს. „გზები არ იცის ჯერ და უნდა ვასწავლოო“, – სერიოზულად მიუგებს მოტოციკლის პატრონი...

მთლად ასეთი „საგანმანათლებლო“ მისია არ უკისრია რუსეთის ქალაქ პერმის მკვიდრს, თუმცა იმის ნაცვლად, რომ ავტომობილს მიეყვანა სახლში, თავად მიიყვანა ავტომობილი... უკან მიწოლით.

ასეთი უცნაური გადაწყვეტილება კი მან იმის გამო მიიღო, რომ ზომაზე მეტი ჰქონდა დალეული და ავტოინსპექციას რომ გაეჩერებინა, ჯარიმას ვერ გადაურჩებოდა.

ამის მიუხედავად, ინსპექტორებმა ის მაინც გააჩერეს, რადგან ნასვამი მამაკაცი მანქანას შუა ტრასაზე აწვებოდა. როცა მან თავისი საქციელის მიზეზი განმარტა, სამართალდამცველებმა ბევრი იცინეს და მანქანა სახლამდე ჯარიმის გამოწერის გარეშე მიაყვანინეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა...

*rokf.ru*

## ცუდი მხედველობა სექსუალურ ცხოვრებაზეც მოქმედებსო



ახლა, კარგად თუ ვერ იხედება ადამიანი თვალიდან, შესაბამისად, მიზანიც არ ექნება კარგი. ჰოდა, სექსუალურ ცხოვრებაში ამაზე დიდი პრობლემა რაღა უნდა იყოს?

თუმცა, როგორც ბრიტანელი მეცნიერები ამბობენ, პრობლემა არის, თანაც საკმაოდ სერიოზული.

ნისლიან ალბიონზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ახლომხედველობა არა მხოლოდ სრულფასოვან ცხოვრებას აფერხებს, არამედ სექსის მხრივაც მოაქვს ადამიანებისთვის უსიამოვნებები.

საქმე ის ყოფილა, რომ ვინც ახლომხედველობის მსხვერპლია, თურმე, თავდაჯერებულობა აკლია, რაც პარტნიორს მასთან ურთიერთობის სურვილს ნელნელა უქრობს.

სტატისტიკამ აჩვენა, რომ ახლომხედველების 80 პროცენტი ინიციატივას, ფაქტობრივად, არასოდეს იჩენს, რაც თავის მხრივ, დადებითი შედეგებით არასოდეს მთავრდება.

*medkarta.com*

## გულმავიწყობისგან განთავისუფლება ძალიან ადვილია?



სიბერეში საკუთარი ვინაობის ძალდატანებით გახსენება რომ არ მოგიხდეთ, ამისთვის ახალგაზრდობაშივე უნდა იზრუნოთ და ახლავე გეტყვით, როგორ:

სპეციალისტების განმარტებით, გულმავიწყობის თავიდან ასაცილებლად კვების რაციონში უნდა შეიტანოთ ისეთი პროდუქტები, რომლებიც ამ უსიამოვნებისგან ადვილად დაგიხსნით.

და რომელ პროდუქტებზეა საუბარი?

პირველ რიგში, უნდა იკვებოთ ოსპით, რადგან ეს პროდუქტი შეიცავს დიდი რაოდენობით რთულ ნახშირწყლებს, ამინომჟავებსა და სხვა ნივთიერებებს, რომლებიც თავის ტვინის უჯრედების განადგურებას სერიოზულ წინააღმდეგობას უწევს და აზროვნების სისხარტესაც უზრუნველყოფს.



მეორე პროდუქტია – ხახვი, რომელიც თავის ტვინის უჯრედებს ჟანგბადით ამარაგებს.

მესამე – ნიორი. პროდუქტი, რომელიც ასაკის მატების მიუხედავად, ხელს უშლის ცვლილებებს თავის ტვინში.

მეოთხე – თევზი. მასში შემავალი ნივთიერებები ხანგრძლივი და დაძაბული სამუშაოს პირობებში თავის ტვინს უკიდურესად საჭირო ნივთიერებებით ამარაგებენ.

მეხუთე – თხილი და კაკალი – ორივე პროდუქტი ადამიანის თავის ტვინს სწრაფად აზროვნებისთვის საჭირო ნივთიერებით, დოფამინით ამარაგებს.

და მეექვსე – ლიმონი. მოგეხსენებათ, ლიმონი დიდი რაოდენობით ცე ვიტამინს შეიცავს, ნივთიერებას, რომელსაც თავის ტვინის არასტაბილური ჟანგბადის მოლეკულების განადგურება შეუძლია.

*myjane.ru*

## მსოფლიოში ყველაზე ეჭვიანი ქალები ახალ ზელანდიაში ცხოვრობენ



ბრიტანელ სპეციალისტებს თუ დავუჯერებთ, მამაკაცებზე ეჭვიანები მშვენიერი სქესის წარმომადგენლები არიან, რომელთა მშვენიერება და მომხიბვლელობა, სამწუხაროდ, ეჭვის გაჩენასთან ერთად, უკვალოდ იკარგება.

და რომელ ქვეყანაში ცხოვრობენ ყველაზე ეჭვიანი ქალები?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა მასშტაბური კვლევა ჩაატარეს და დაადგინეს, რომ, როგორც კი ჰორიზონტზე სხვა ქალი ჩნდება, ახალ ზელანდიელი მამაკაცების მეორე ნახევრებს იმდენად გრძელი ეჭვის ჭია უჩნდებათ, რომელსაც ბოლოც კი არ უჩანს.

ახალ ზელანდიელი მამაკაცების განმარტებით, ნებისმიერი ქალის გამოჩენაც კი მათ რჩეულებზე საშინლად ნეგატიურ გავლენას ახდენს, რასაც დაუსრულებელი სკანდალები და ვაი-უშველები ახლავს.

რაც შეეხება თავად ახალ ზელანდიელ ქალბატონებს, ისინი არც მალავენ, რომ საკმაოზე მეტად ეჭვიანები არიან და რომ მზად არიან, რჩეულის შესანარჩუნებლად მუქარას და ზოგჯერ, ძალის გამოყენებასაც კი მიმართონ.

ახალ ზელანდიელების გარდა, ეჭვიანობის მხრივ, „ბრწყინავენ“ კანადელი და ბრიტანელი ქალბატონები, რომლებიც, შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილებს ინაწილებენ.

დანარჩენ მსოფლიოში ეჭვიანობის თითქმის ერთი და იგივე დონე გამოიკვეთა.

*newsland.ru*

## მსუქანი მძღოლებისთვის განსხვავებული საჭე გამოიგონეს



ფოტოს რამდენიმე საათიც რომ უყუროთ, რთული მისახვედრია, რას წარმოადგენს ის საკუთარ თავში. სამაგიეროდ, პრაქტიკული დანიშნულება აქვს შესანიშნავი – საავტომობილო ნაწილების ერთ-ერთმა ცნობილმა ამერიკულმა მწარმოებელმა შექმნა მოსახერხებელი ელექტროსაჭე ჭარბწონიანი მძღოლებისთვის, რომელიც საშუალებას იძლევა, მოწყობილობათა პანელზე მაქსიმალურად შეიწიოს.

კომპანიაში ამტკიცებენ, რომ მათი ინოვაციური გამოგონება ბევრი მძღოლისთვის გახდის მანქანაში ჩაჯდომასა და სალონიდან გადმოსვლას გაცილებით კომფორტულს.

განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა მძღოლი სიმსუქნისგან იტანჯება.

უფრო რომ დავაზუსტოთ, ახალი საჭე თავის თავში პანელიდან გამოსაწევ ორ ერთმანეთზე მიერთებულ სახელურს წარმოადგენს.

ერთი კია, ასეთი საჭე ჯერჯერობით ახალ მოდელებზე არ დაყენდება და ის მომავლის ავტომობილისთვისაა განსაზღვრული.

როგორც კი მოტორი იქოქება, საჭე მძღოლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ პოზიციამდე ამოდის, ხოლო როცა მოტორი ქრება, ის კვლავ საწყის პოზიციას უბრუნდება.

*autonews.rbc.ua*

## სალუტები ჯანმრთელობისთვის სახიფათოაო



ასეთი დასკვნა ამერიკელ მეცნიერებს ეკუთვნით, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სალუტს ადამიანის სისხლიდან იოდის გამოდევნისთვის ხელის შეშლა შეუძლია.

საქმე ისაა, რომ ყველა სალუტი კალიუმის პერქლორიდს შეიცავს, რომელიც ფარისებრი ჯირკვლის მუშაობას აფერხებს. ჯანმრთელ ადამიანებს ეს არავითარ პრობლემას არ უქმნის, თუმცა სამაგიეროდ, სულ უმნიშვნელო დარღვევების მქონეებში არის დიდი რისკი, რომ ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად შეირყევა.



გარდა ამისა, სპეციალისტები ხაზს უსვამენ, რომ სალუტების გაშვების შემდეგ, მაყურებლებს თავზე მძიმე ლითონების ნარჩენები აცვივა, რაც, თავისთავად, ჯანმრთელობისთვის ასევე სახიფათოა. მაგალითად, სალუტის წითელი ფერის მისაღებად გამოიყენება სტრონციუმი, ცისფერისთვის რუბიდიუმი და ასე შემდეგ.

*myjane.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



1. ყურძნის არაყი
2. ხერხემლის ძვალი
3. მდინარე პარიზში
4. მდ. სანქტ-პეტერბურგში
5. ლანგარი
6. ჰუნების ბელადი
7. ზღაპარი „... ქოშები“
8. ... კუზანოვი
9. კლოუნის ნომერი
10. ფინური აბანო
11. მამალი ცხენი
12. რითი ახამებენ თეთრეულს
13. სიმინდის ყვავილედი
14. ჭამის სურვილი
15. აქ დაწვეს ჟანა დარკი
16. სპორტ. ინვენტ. ფირმა
17. რეჟისორი კვენტინ ...
18. რუსული ხალხური სიმებ. საკრავი
19. სიო
20. ნაჭრის მრგვალი ქუდი
21. ჩოგბურთის მოედანი
22. ... და არა ... რა (ზღაპარ.)
23. გემი ორი კორპუსით
24. ზღვის სიღრმის საზომი ხელსაწყო
25. „მე, ბებია, ... და ილარიონი“
26. სახელმწიფო აზიაში
27. ... გიუნტერი
28. რეჟისორი ... დე ბონტი
29. ხურდების შესაგროვებელი საგანი
30. ღორის ბალანი
31. ერთი თხილის გული ცხრა ძმამ ...
32. სახელმწიფო ევროპაში
33. ჩოგბურთელი ... მესხი
34. კიბორჩხალის ორკაპა საცეცი
35. ამერიკული ავტომობილი
36. მომღერალი ... ჩარლზი
37. ზებუნებრივი ძალების რწმენა
38. გეოგრაფიაში: პარალელი და ...
39. მიმიკის უქონლობა
40. ფეხბურთელი ... ანრი
41. ... ურჩევნია მამულსა
42. მეტროს მოძრავი კიბე
43. ვაზა
44. წინაღობის შებრუნ. სიდიდე
45. მწვანე მინერალი
46. საქონლის პატივი
47. წვრილი ძეხვეული
48. ... ხაბელოვი
49. ... პავლიაშვილი
50. მხ/ფ „... ზორბა“
51. მომღერალი ... ქერი
52. რქის სასმისი
53. გოია. „შიშველი ...“
54. ძვ. თბილისური მიმართვა
55. მსახიობი შონ ...
56. მარცვლოვანი მცენარე
57. ნასკვი, ანუ ...
58. ტრამვაის მძღოლი
59. შიშველი სხეული მხატვრობაში
60. ცისარტყელას ქალღმერთი
61. ზურიკელას ძაღლი (დუმბაძე)
62. კათოლიკური საგალობელი
63. მსახიობი ... რობერტსი
64. ნაბიჯი ბალეტში
65. შრეკის სატრფო
66. დონ კიხოტის ავტორი
67. ხელოვნურად გამოწვეული ძილი
68. მსახიობი შერონ ...
69. ბევრ ზეთში შემწვარი კარტოფილი
70. სომხეთის დედაქალაქი
71. მდინარე მოლდავეთში
72. ალკოჰოლური სასმელი
73. ... ჩიბურდანიძე
74. კონტინენტი
75. ბრედ პიტი ფილმში
76. ... ასე, ... ისე
77. პაპინიას ვაჟი
78. მომღერალი ... ბურჭულაძე
79. ცხოველების ექიმი
80. კოვბოის ქამანდი
81. ხარებთან ბრძოლა
82. ბრტყელი თევზი
83. რკინიგზის ხაზი
84. ცირკის მასხარა
85. მაიმუნის სახეობა
86. მომღერალი ... ოსბორნი
87. ქალაქი სვანეთში
88. მწერალი ... ლომოური
89. მსახიობი ... ტაილერი
90. „... უბნის მელოდიები“
91. წანაზარდი პირუტყვის თავზე
92. ორიანი ნარდში
93. მსახიობი მერილინ ...
94. ციმბირის წყლული
95. ქალაქი საბერძნეთში
96. ხილის ხეები, ანუ ...
97. რეჟისორი ელდარ ...
98. გიგანტური ტალღა
99. „ნატვრის ხე“ დაუშვილი
100. სახელმწიფო აზიაში
101. ვაზით გაშენებული ადგილი
102. მარჯნის კუნძული
103. მტაცებელი ფრინველის ფრენა
104. მსახიობი აიშვარია ...
105. მომღერალი ... ხუციშვილი
106. მოჭადრაკე ქეთევან ...
107. გემი, ანუ ...
108. სომხეთის ძველი დედაქალაქი
109. მსახიობი სილვესტერ ...
110. მდინარე იტალიაში
111. ბუდისტური ტაძარი
112. სასულე ინსტრუმენტი
113. მსახიობი გოიკო ...
114. ნიშნავს სწავლებას
115. „მამლუქი“ ... და გოჩა
116. სფეროს ფორმის ტყვიები
117. რას დებს ქათამი
118. ქიმიური ელემენტი
119. ბანქოს ფურცელი
120. ჩანთოსანი ცხოველი სამხ. ამერიკ.
121. აფროდიტეს სატრფო
122. მეტყველების ორგანო
123. მსახიობი კერი-ენ ...
124. გემის მთავარი კოჭი ფსკერზე
125. „კუჩხი ბედინერი“ ძაღლი
126. მინერალური წყალი ჩრდ. კავკას.
127. ტელეწამყვანი ... ჟორჟოლიანი
128. შეიარაღებული დაცვა (ძვ.)
129. მსახიობი ... ფლინი
130. კომპოზიტორი ... ნემსაძე
131. მსახიობი ... მაკგრეგორი
132. ცხენის კუდის ბალანი
133. კინოფილმი, ანუ ...
134. ერთიდაიგივე საქმიანობა
135. მუსლიმანებში: ... და სუნიტი
136. სისხლნაკლებობა
137. ლუდის მასალა
138. ხმლის ტარი
139. მხატვარი ... ზიჩი
140. ერაყში: ... ჰუსეინი
141. „ჟიზელი“ კომპოზიტორი
142. „... კარენინა“
143. სახსრების დაავადება
144. მომღერალი ... მატიე
145. მსახიობი ... ჯოლი
146. მოკრივე ... ფრეზერი
147. მეფის მხლებლები
148. თევზის წვნიანი
149. იაპონური თეატრი
150. მომღერალი ... გეგელია
151. მდინარე რუსეთში
152. ბერის ოთახი
153. მსახიობი ... ლი ჯონსი
154. წინაღობის ერთეული
155. თმის წითელი საღებავი
156. მსახიობი ... კოლინზი
157. ქალაქი ფლორიდის შტატში
158. რიჩარდ გირი მიუზიკლში





პასუხები: 1. ჭაჭა; 2. მალა; 3. სენა; 4. ნევა; 5. სინი; 6. ატილა; 7. ბაბაჯანას; 8. ივა; 9. ანტრე; 10. საუნა; 11. ულაყი; 12. სახამებელი; 13. ტარო; 14. მადა; 15. რუანი; 16. „ნაიკი“; 17. ტარანტინო; 18. ბალალაიკა; 19. ნიავი; 20. ბერეტი; 21. კორტი; 22. იყო; 23. კატამარანი; 24. ექოლოტი; 25. ილიკო; 26. ირანი; 27. ანი; 28. იან; 29. ყულაბა; 30. ჯაგარი; 31. გაიყოო; 32. გერმანია; 33. ლეილა; 34. მარწუხი; 35. „კრაისლერი“; 36. რეი. 37. მისტიკა; 38. მერიდიანი; 39. ამიმია; 40. ტიერი; 41. ის; 42. ესკალატორი; 43. ლარნაკი; 44. მო; 45. მალაქიტი; 46. ნაკელი; 47. სოსისი; 48. ლერი; 49. სოსო; 50. ბერძენი; 51. მერაია; 52. ყანწი; 53. მახა; 54. ტო; 55. კონერი; 56. ბრინჯი; 57. კვანძი; 58. ვატმანი; 59. ნიუ; 60. ირიდა; 61. მურადა; 62. მესა; 63. ერიკ; 64. პა; 65. ფიონა; 66. სერვანტესი; 67. ნარკოზი; 68. სტოუნი; 69. ფრი; 70. ერევანი; 71. დნესტრი; 72. ვისკი; 73. მაია; 74. ამერიკა; 75. „ტროა“; 76. ან; 77. აგული; 78. პაატა; 79. ვეტერინარი; 80. ლასო; 81. კორიდა; 82. კამბალა; 83. ლიანდაგი; 84. კლოუნი; 85. მაკაკი; 86. ოზი; 87. მესტია; 88. ნიკო; 89. ლივ; 90. ვერის; 91. რქა; 92. დუ; 93. მონრო; 94. ჯილეხი; 95. სალონიკი; 96. ხეხილი; 97. რიაზანოვი; 98. ცუნამი; 99. ციციკორე; 100. ვიეტნამი; 101. ვენახი; 102. ატოლი; 103. ირაო; 104. რაი; 105. გიო; 106. არახამია; 107. ხომალდი; 108. ანისი; 109. სტალონე; 110. პო; 111. პაგოდა; 112. ჰობოი; 113. მიტიჩი; 114. ლოგია; 115. ხვიჩა; 116. საფანტი; 117. კვერცხი; 118. აზოტი; 119. ტუზი; 120. ოპოსუმი; 121. ადონისი; 122. ენა; 123. მოსი; 124. კილი; 125. ბროლია; 126. „ნარზანი“; 127. ნანუკა; 128. ჩაფარი; 129. ეროლ; 130. ლილიკო; 131. ევან; 132. ძუა; 133. კინო; 134. რუტინა; 135. შიიტი; 136. ანემია; 137. ალაო; 138. ვადა; 139. მიხაი; 140. სადამ; 141. ადანი; 142. ანა; 143. ნიკრისი; 144. მირეი; 145. ანჯელინა; 146. ჯო; 147. ამალა; 148. უხა; 149. ნო; 150. ლილი; 151. ოკა; 152. სენაკი; 153. ტომი; 154. ომი; 155. ინა; 156. ჯოან; 157. მაიამი; 158. „ჩიკაგო“. იკითხება: გამოვიცანი.

# სკანვორდი

ავტორი ლალი ზანდუკელი 2 23-11-28



1. ჰელიკოპტერის ქართული სახელწოდება
2. ტყის ქათამი
3. მოცარტის ერთ-ერთი სახელი
4. ებრაელთა მოძღვარი
5. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი
6. ბრაზილიის ფულის ერთეული
7. იგივეა, რაც ჰაერნაოსნობა
8. ცნების ზუსტი განსაზღვრა
9. იაპონიის საერთაშ. აეროპორტი
10. მსახიობი ბრედ ...
11. შვეიცარიელთა საომარი ცული
12. ქართ. ვოკალურ-ინსტრუმ. ანსამბლი
13. ქალაქი სამხრეთ აფრიკის რესპუბლ.
14. ავსტრიელი პოეტი-მოდერნისტი
15. სამეცნიერო ნაშრომის სახეობა
16. მდინარე ციმბირში
17. თვითმფრინავის ფანჯარა
18. ძველეგვიპტელთა წმინდა ფრინველი
19. ფრანგი მწერალი ძმების გვარი
20. შინაური ცხოველის ბეწვი
21. ქალთევზას სახელი ანდერსენის ზღაპარში
22. მოჰამედ ალის ნამდვილი გვარი
23. მამაკაცის ვარცხნილობის ტიპი
24. ადამიანის სამეტყველო ორგანო
25. ხმელთაშუა ზღვის ნაწილი
26. გმირი არაგველების რაოდენობა
27. გერშვინის ოპერა „... და ბესი“
28. პარტია ჩოგბურთის თამაშში
29. მამალი თხა
30. ორქმრიანობა
31. მქუხარე აპლოდისმენტები
32. რისამე სრულყოფის განსახიერება
33. პატარა მრგვალი უძვლო ცხოველი
34. ბალახის ჩრდილი
35. სამი წერტილი კამათელზე
36. ხვიარა ბალახოვანი მცენარე
37. ტვირთმზიდავი ხარი
38. ქირურგიული ორპირიანი დანა
39. ფრანგი ფეხბურთელი ტიერი ...
40. ქუჩის გასწვრივ გაყვანილი არხი
41. ვულკანი კუნძულ სიცილიაზე
42. უკრაინული ოპოზიციის ლიდერი
43. ინდონეზიის კუნძული
44. კურდღლის ნაშიერი
45. ცნობ. ინგლისელი ფიზიოლოგი და ექიმი
46. უკრაინ. მომღერალი ... მელაი
47. არსენას ბატონის სახელი
48. ქალაქი იტალიაში
49. პარაგვაის ჩაი
50. მდინარე სანკტ-პეტერბურგში
51. სამშენებლო მასალა
52. იტალ. მწერალი უმბერტო ...
53. ყვავილის ლარნაკი
54. 1000 კგ
55. უკრაინული ფარმაცევტ. ფირმა
56. მუნიციპალური საბჭოს წევრი აშშ-ში
57. არაბული ქვეყანა აზიაში
58. ძვ. ფრანგული სიგრძის ერთეული
59. „კაპიტან გრანტის შვილების“ ავტორი
60. რიჰარდ ვაგნერის ოპერა
61. ბუქარესტის საფეხბურთო კლუბი
62. ფრიქსესა და ჰელეს დედინაცვალი
63. ირიბად ნაქსოვი მკვრივი ქსოვილი
64. მთა თბილისში
65. იუმორისტთა ქალაქი ბულგარეთში
66. ძალი-ან ნელი ტემპი მუსიკაში
67. ძველი ასურეთის დედაქალაქი
68. ჯულიეტას მიჯნური
69. ტუზის ქართული სახელწოდ.
70. იტალ. დიზაინერი რობერტო ...
71. ბრონირებული სამხედრო მანქანა
72. ნბა-ს ვარსკვლავი
73. ღმერთების დედა ძვ. ინდურ რელიგიაში
74. აშშ-ის შტატი
75. ფრანგი მწერალი ... პრუსტი
76. პატიმრის ოთახი
77. მდინარე გერმანიაში
78. უკრაინ. პოეტი ... უკრაინკა
79. მოცარტის ოპერა „... ჟუანი“
80. ქალაქი საფრანგეთში
81. ძველებ. აღმოსავლ. ქალთა ცეკვა
82. დროის მაჩვენებელი ხელსაწყო
83. წელიწადის 1/12
84. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი და მეცნიერი
85. გერმანული კოსმეტიკ. ფირმა
86. ესპერანტოს ვარიანტი
87. რუსული სიმებიანი საკრავი
88. რაგბის ტერმინი
89. ბალერინა ... პლისეცკაია
90. პორტუგ. მწერალი ... დე კეიროში
91. ნადირთმფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგ.
92. ზღაპრული შინაარსის იგავი
93. მწერალი ... ფოინტვანგერი
94. კომიკოსი ვახტანგ ...
95. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი
96. (ძვ.) პროვინციის გამგებელი დაღესტანში
97. ალალბედზე მოქმედება
98. იგივეა, რაც ხილფაფა
99. ამერიკული მუსიკის ჟანრი
100. გამარჯვების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგ.
101. ტაჯიკი საბჭოთა მწერალი
102. ქართული ფარმაცევტ. კომპანია
103. ეგვიპტის „გადაყენებული“ ექსპრეზიდენტი
104. საშობაო სიმღერა
105. ლითონზე მომუშავე ხელოსანი
106. აღმოსავლური ხორციანი კერძი
107. ფოსო თვალის ქვეშ
108. შრი-ლანკის უდიდესი ქალაქი
109. წვერმოკაუჭებული საკაფი იარაღი
110. „ყველაზე სწრაფების“ მხარე საქართველ.
111. მაგარი ალკოჰოლური სასმელი
112. ცეცხლგამჩენ ბომბში გამოყენებ. საწვავი
113. ქალაქი უკრაინაში
114. დანიის ადმინისტრ. ტერიტორ. ერთეული
115. ფრანგი მსახიობი ჟან პოლ ...
116. ფაფა ბავშვის ენაზე
117. ავღანეთის ყოფილი მმართველი ფუნდამენტალისტურ მოძრაობა
118. სამხრეთამერიკული ნესვი
119. ოქროს ურდოს სარდალი
120. დიონისეს მეუღლე
121. სკანდინ. ეპიკური ლიტერატ. ძეგლი
122. ყალთაბანდობა
123. მუდამ, ყოველთვის
124. ცხენოსნ. სახეობა
125. რეპის „მამა“
126. რუსული როკ-ჯგუფი
127. ეკლესიიდან განდევნა, შეჩვენება
128. ზღაპრული ცხენი
129. მყრალი ბალახოვანი მცენარე
130. სპორტ. ნაგებობა ველოსპორტში შეჯიბრებისათვის
131. თაფლით შეზავებული მოხარშული ხორბალი
132. დატკეპნილი მიწის ბრტყელი სახურავი
133. ზედმეტად მარილიანი
134. კოლუმბის ერთ-ერთი ხომალდი
135. ფეხბურთის სახელწოდება იტალიაში
136. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
137. ხმელის ანტონიმი
138. კვამლიანი ღრუბელი
139. „რკინის მაიკად“ წოდებული ამერიკელი მოკრივე
140. „ჩელსის“ კაპიტანი
141. ლითონგამოდნობის ნარჩენი
142. აღმაშენ. ასული
143. შალაშინის სახეობა
144. ინტერიერის მხატვრული კონსტრუირება
145. სამხედრო შარვლის ფორმა
146. სამეურნეო მუშაკი
147. სპორტ. ნავი
148. მექსიკ. მხატვარი
149. ამერიკელი მსახიობი ჯეკი ---
150. მუხის ნაყოფი
151. 1121 წ. ბრძოლის ადგილი
152. ქართლის „დედაქალაქი“
153. ქალური საწ-ყისის აღმნიშვნ. ტერმინი ჩინურ ფილოსოფიაში
154. მოთელილი ქეჩა
155. ოდისევსის სამეფო
156. ჟან-პოლ მარატის მკვლელი
157. თხრობითი ლიტერატურა
158. სალებავის ან წამლის დამზადე-ბაში ხმარებული უფერო ზეთოვანი სითხე
159. ბგერის ანარეკლი
160. (დაბეჭდილი არ არის)
161. ტრაგედიის „მამა“

პასუხები: 1. ვერტმფრენი; 2. ვალდშნეპი; 3. ვოლფგანგი; 4. რაბინი; 5. მერჩულე; 6. რიალი; 7. აერონავტიკა; 8. დეფინიცია; 9. ნარიტა; 10. პიტი; 11. ალებარდა; 12. „ორერა“; 13. კეიპტაუნი; 14. რილკე; 15. რეფერატი; 16. ენისეი; 17. ილუმინატორი; 18. იბისი; 19. გონკური; 20. ბალანი; 21. არიელი; 22. კლეი; 23. ნანეტი; 24. ენა; 25. ადრიატიკა; 26. სამასი; 27. პორგი; 28. სეტი; 29. ვაცი; 30. ბიანდრია; 31. ოვაცია; 32. იდეალი; 33. ჭია; 34. ბაო; 35. სე; 36. სვია; 37. აზავერი; 38. ლანცეტი; 39. ანრი; 40. კიუვეტი; 41. ეტნა; 42. ვიტალი კლიჩკო; 43. იავა; 44. ბაჭია; 45. ჰარვეი; 46. ივანა; 47. ზაალი; 48. რიმინი; 49. მატე; 50. ნევა; 51. კირი; 52. ეკო; 53. ვაზა; 54. ტონა; 55. „დარნიცა“; 56. ოლდერმენი; 57. ბაჰრეინი; 58. ლიე; 59. ვერნი; 60. „რიენცი“; 61. „სტიაუა“; 62. ინო; 63. დიაგონალი; 64. ელია; 65. გაბროვო; 66. გრავე; 67. ნინევია; 68. რომეო; 69. კიკო; 70. კავალი; 71. ტანკი; 72. ონილი; 73. ადიტი; 74. აიდაჰო; 75. მარსელ; 76. საკანი; 77. რეინი; 78. ლესია; 79. დონ; 80. ლიონი; 81. უზუნდარა; 82. საათი; 83. თვე; 84. ლაიბნიცი; 85. „ნივეა“; 86. იდო; 87. გუსლი; 88. არეკნი; 89. მაია; 90. ესა; 91. ოჩოკოჩი; 92. არაკი; 93. ლიონ; 94. ნინუა; 95. კიაზო; 96. ნაიბი; 97. რისკი; 98. პოვიდლო; 99. ქანთრი; 100. ნიკე; 101. აინი; 102. „პსპ“; 103. მუბარაქი; 104. ალილო; 105. მჭედელი; 106. აზუ; 107. უპე; 108. კოლომბო; 109. წალდი; 110. რაჭა; 111. ვისკი; 112. ნაპალმი; 113. ვინიცა; 114. ამტი; 115. ბელმონდო; 116. ფია; 117. თალიბანი; 118. პეპინო; 119. ნოლაი; 120. არიადნე; 121. ედა; 122. აფერა; 123. მარად; 124. დოლი; 125. თუფაქი; 126. „დდტ“; 127. ანათემა; 128. რაში; 129. ანწლი; 130. ტრეკი; 131. წანდილი; 132. ერდო; 133. მლაშე; 134. „ნინია“; 135. კალჩო; 136. იდეა; 137. ნედლი; 138. სმოგი; 139. ტაისონი; 140. ტერი; 141. წიდა; 142. კატაი; 143. ეჩო; 144. დიზაინი; 145. გალიფე; 146. მნე; 147. კანოე; 148. კალო; 149. ჩანი; 150. რკო; 151. დიდგორი; 152. გორი; 153. ინი; 154. თექა; 155. ითაკა; 156. კორდე; 157. პროზა; 158. ანილინი; 159. ექო; 160. ესქილე; გამუქებულ უჯრებში იკითხება: ვიტალი კლიჩკო.

# რა დაჯდა ცნობილი ბრენდების ლოგოტიპების შექმნა?

**უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ყველა დროის ყველაზე ცნობადი ლოგოტიპების ღირებულება საოცრად მრავალფეროვან დიაპაზონში მერყეობს: სანამ ზოგიერთი მსოფლიო ბრენდი მათ შექმნაზე მილიონობით დოლარს ხარჯავდა, სხვები სულ რაღაც 15 დოლარით „ღარიბდებოდნენ“. მეტიც, ზოგიერთებს „კაპიკი“ არ დაუხარჯავს, თუმცა ამას სულაც არ შეუშლია ხელი იმისთვის, რომ ლოგოტიპს პოპულარობისთვის მიეღწია.**

**როგორც სპეციალისტები ამბობენ, ლოგოტიპი კომპანიის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე საკვანძო ფაქტორია და თანხები ამისთვის არავინ არ უნდა დაიშუროს. ამის მიუხედავად, არსებობს არაერთი განსაცვიფრებელი შემთხვევა, როცა მსოფლიოში ცნობილ ბრენდებს თავიანთ საკულტო ლოგოტიპებში მართლაც არაფერი გადაუხდიათ.**

### Google/დახარჯულია: 0 დოლარი




წლების მანძილზე ყველასთვის კარგად ნაცნობი საძიებო სისტემის მრავალფეროვანმა ლოგოტიპმა არაერთი ცვლილება განიცადა, ხოლო რაც შეეხება ორიგინალურ დიზაინს, მისი შექმნის თარიღად 1998 წელი სახელდება.

როგორც ამბობენ, სერგეი ბრინმა, რომელიც სხვათა შორის, „ფორბსის“ ვერსიით მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების რეიტინგში 21-ე ადგილს იკავებს და რომელიც, მოგეხსენებათ, „გუგლის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია, საძიებო სისტემის ლოგოტიპი ერთ-ერთი უფასო გრაფიკული პროგრამის გამოყენებით შექმნა.

ცნობილია ისიც, რომ „გუგლის“ ემბლემების დანარჩენი პროტოტიპების შექმნაზე რუთ კედარმა იმუშავა – ბრინისა და ლარი პეიჯის („გუგლის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი) მეგობარმა, რომელიც მათ სტენფორდის უნივერსიტეტში სწავლისას გაიცნეს.

### Coca-Cola/დახარჯულია: 0 დოლარი




„კოკა-კოლას“ ცნობილი ლოგოტიპი კომპანიის დამფუძნებლის პარტნიორმა, ბუღალტერმა ფრენკ რობინსონმა ჯერ კიდევ 1886 წელს შექმნა.

როგორც ამბობენ, რობინსონის იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ „ორი „ჩ“ რეკლამაში კარგად გამოჩნდებოდა“.

ამბობენ იმასაც, რომ რობინსონი საკმაოდ დიდხანს მუშაობდა უნიკალური ლოგოტიპის შექმნაზე და არაერთი ექსპერიმენტიც ჩაატარა, სანამ, საბოლოო ჯამში, სპეციალური შრიფტი არ შეიმუშავა, რომელიც მაშინდელი დროისთვის დამახასიათებელ ხელწერას ირეკლავდა.

### Twitter/დახარჯულია: 15 დოლარი




მსოფლიოში ცნობილი „ტვიტერის ჩიტიანი“ ლოგოტიპი კომპანიამ მოძველებული ფოტოგრაფიების ფოტობანკიდან 15 დოლარად შეიძინა.

ცნობილია, რომ მისი ავტორი იაპონიაში მცხოვრები ბრიტანელი მხატვარი საიმონ ოკსლია, რომელმაც, სავარაუდოდ, სურათისთვის თავის დროზე დაახლოებით 6 დოლარი აიღო.

### Nike/დახარჯულია: 35 დოლარი



კომპანიის დამფუძნებელმა, ფილ ნაიტმა ცნობილი ლოგო 1971 წელს კეროლინ დევიდსონისგან შეიძინა, სტუდენტისგან, რომელიც გრაფიკულ დიზაინს ეუფლებოდა.

ცნობილია, რომ ნაიტმა, რომელიც პორტლენდის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა, შემთხვევით მოისმინა გოგონას საუბარი, რომელიც ამბობდა, რომ ვერ იტანდა გალერეებში გამოფენილ ზეთის საღებავებით შექმნილ ნახატებს. შედეგად, ნაიტმა სტუდენტს საათში 2 დოლარის სანაცვლოდ დაახატვინა გრაფიკები, დიაგრამები და საბოლოო ჯამში, ლოგოტიპი.

– მე ის არ მომწონს, მაგრამ შესაძლოა, დროთა განმავლობაში მომეწონოს, – უთქვამს ნაიტს და თქვენ წარმოიდგინეთ, დღეს უკვე ყველასთვის ცნობილ ლოგოტიპში 35 დოლარის გადახდა დანანებია კიდეც.

### NeXT/დახარჯულია: 100 000 დოლარი




სტივ ჯობსის კომპანიისთვის, რომელიც მან 1985 წელს „ეფლიდან“ წასვლის შემდეგ დააარსა, ლოგოტიპი ცნობილმა დიზაინერმა პოლ რენდმა შექმნა. გარდა ამისა, პონ რენდის მიერაა შექმნილი ემბლემები სხვა ცნობილი კომპანიებისთვისაც, რომელთა შორისაა: IBM, ჟჯშ, ტელეკომპანია ABჩ და ასე შემდეგ.

### ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშები/დახარჯულია: 625 ათასი დოლარი




ლოგოტიპი ერთ-ერთმა დიზაინ სააგენტომ ჯერ კიდევ 2007 წელს შექმნა და საკმაოდ სოლიდური ანაზღაურებაც მიიღო. ერთი ეგ არის, კრიტიკა სააგენტოს ბევრად მეტი ხვდა წილად – საზოგადოებამ ლოგოტიპი დაუდევარი სტილის გამო დაიწუნა. გარდა ამისა, უკმაყოფილება გამოიწვია იმ ფაქტმაც, რომ ვიღაც-ვიღაცებმა მასში ორალური სექსით დაკავებული ორი ფიგურა გაარჩიეს.

### Pepsi/დახარჯულია: 1 000 000 დოლარი




ცნობილია, რომ „პეპსის“ ლოგოტიპი 2008 წელს განახლდა, რაც საერთო ჯამში, კომპანიას ერთი მილიონი დაუჯდა.

### BBC/დახარჯულია: 1 800 000 დოლარი




საკმაოდ დიდი ხანი, ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაციას ლოგოტიპი საერთოდ არ ჰქონდა. კერძოდ, სატელევიზიო მაუწყებლობა „ბიბისიმ“ 1936 წელს დაიწყო, ხოლო ლოგოტიპის შექმნის პირველ მცდელობას ადგილი მხოლოდ 1953 წელს ჰქონდა.

ლოგოტიპის საბოლოო იერი, რომლითაც კორპორაციას დღეს უკვე მთელ მსოფლიოში ცნობენ, 1997 წელს დამტკიცდა, რაც დაახლოებით 1 მილიონ 800 ათასი აშშ დოლარი დაჯდა.

### BP (British Petroleum)/დახარჯულია: 211 000 000 დოლარი




2008 წელს ლოგოტიპში კომპანიამ 211 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა. სარეკლამო სააგენტომ, რომელსაც ლოგოტიპის შექმნა დაევალა, ასეთი პრინციპით იმუშავა: „წარმოჩინდეს კომპანია, რომლისაც სჯერათ და რომელსაც ენდობიან“. თუმცა 2010 წელს, მას შემდეგ, რაც მექსიკის ყურეში დიდი რაოდენობით ნავთობის გაჟონვა მოხდა, კომპანიის იმიჯს გარკვეული ზიანი მიადგა.

***mainfun.ru***

**მიხეილ სახვაძე 599 93-28-03**



სამხედრო მოსამსახურე ცოლთან წევს, მაგრამ არაფერი გამოსდის. ცოლი:

– რა გჭირს დღეს?

– რა ვიცი, ფორმაში არ ვარ...

– ე, ბიჭო, ჩაიცვი მერე, ჩაიცვი!!!

*****

ქუჩაში ორი მოხუცი მამაკაცი შეხვდა:

– მოდი, ახალგაზრდობა გავიხსენოთ, ქალებში წავიდეთ.

– წავიდეთ, მაგრამ უარი რომ გვითხრათ, მერე რა ვქნათ?

– ეგ არც არის პრობლემა! პრობლემა ის არის, უარი თუ არ გვითხრეს!!!

*****

– თოკის რომელი ბოლო უნდა ესროლო დეპუტატს, რომელიც წყალში იხრჩობა?

– ორივე!!!

*****



მოსამართლე ბრალდებულს:

– თქვენ ფილარმონია დაწვით. აღიარებთ დანაშაულს?

– ვაღიარებ და ძალიან ვნანობ, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა...

– დააკონკრეტეთ!

– მეზობელი მყავს, რომელიც დღე და ღამ ვიოლინოზე უკრავს. ჰოდა, ვიფიქრე, თუ ველარსად შეძლებდა გამოსვლას, რეპეტიციებსაც შეეშვებოდა...

*****

ქმარმა ცოლის მშობიარობაზე დასწრება გადაწყვიტა. ჰოდა, როგორც კი პროცესი დაიწყო, მაშინვე გონება დაკარგა. რამდენჯერაც გამოაფხიზლეს და მშობიარობას თვალი მოჰკრა, იმდენჯერ გაითიშა. ბოლოს ბებიაქალმა ახარა:

– გილოცავთ, მამა გახდით!

– ვინ დაიბადა?

– გოგონა.

– მადლობა ღმერთს! ეგ მაინც არ დაიტანჯოს ისე, როგორც მე!..

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მამაკაცებს XXI საუკუნის ახალი დაავადება უტევს



დაავადება და უსიამოვნება გვაკლია, კიდევ ახლები რომ არ აღმოაჩინონ? მით უმეტეს, ისეთი უცნაური, რომელზეც იტალიელი მეცნიერები საუბრობენ.

როგორც ირკვევა, XXI საუკუნის დაავადება მათ „სექსუალურ ანორექსიად მონათლეს", რომელიც ერექციასთან დაკავშირებული პრობლემებითა და სექსუალური ურთიერთობების სურვილის არქონით გამოიხატება.

სპეციალისტების თქმით, თანამედროვე მსოფლიო ზედმეტად გაშიშვლებულია და ტიტველი სხეულისა და ეროტიკის ნახვა ყველგან შეიძლება, სადაც არ უნდა გაიხედო. ასეთმა სექსუალურმა თავდასხმამ ყველაზე ცუდად მამაკაცებზე იმოქმედა, რომლებიც ნელ-ნელა ფიზიკურ სიახლოვეს მიმზიდველად აღარ მიიჩნევენ და მის მიმართ ყოველგვარ ინტერესს კარგავენ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იტალიელებმა 28 ათასი მამაკაცი გამოკითხეს და დაადგინეს, რომ სექსუალური პრობლემების გაჩენის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მიზეზი პორნოგრაფიაა, რომელზეც მათ ხელი ბავშვობიდანვე მიუწვდებოდათ.

– წლების მანძილზე პორნოგრაფიის ყოველდღიურ ყურებას ის შედეგი მოჰყვა, რომ 25 წლის ასაკში მამაკაცებს სექსი დიდად აღარ იზიდავთ, – ასეთია იტალიელების დასკვნა.

საინტერესოა, რომ ფსიქოლოგები პრობლემას გაცილებით ღრმას უწოდებენ და მიიჩნევენ, რომ ეროტიკულ და პორნოჟურნალებსა თუ ფილმებს მშობლებმა ბავშვები მაქსიმალურად უნდა მოარიდონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სექსუალური დისფუნქცია 80 პროცენტს გარანტირებული ექნება.

**mignews.com**

## კიბოს პროფილაქტიკის პროცესი დღეში, სულ რაღაც, ნახევარ საათს მოითხოვს



სამწუხაროდ, სხვა ბევრ დაავადებასთან ერთად, კიბო კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი თავის ტკივილია, რომლის მიმართაც სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს და ამ შემთხვევაში, კიბოსგან თავის დაცვას ფინელი სპეციალისტები გვასწავლიან.

მათი განმარტებით, ამ საშინელ დაავადებასთან ბრძოლა ძალიან ადვილია, უბრალოდ, საჭიროა ფიზკულტურით დაკავება, რისთვისაც დღეში 30 წუთიც სრულიად საკმარისი იქნება.

– ყოველდღიურად თუნდაც ნახევარსაათიანი ვარჯიში კიბოს გაჩენის რისკს მთელი 50 პროცენტით ამცირებს, – ამტკიცებენ ფინელი მკვლევარები.

მათი თქმით, ფიზიკური აქტიურობა ორგანიზმს ონკოლოგიურ დაავადებებთან ბრძოლას მნიშვნელოვნად უადვილებს. კერძოდ, პროფილაქტიკური მიზნებისთვის შესანიშნავი ხერხია – ცურვა, სირბილი, ველოსიპედით მოძრაობა და ასევე, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი და მოკლედ, ყველაფერი, რაც ადამიანს მოდუნების უფლებას არ მისცემს!

ყველაზე საუკეთესო შედეგს კი იმ შემთხვევაში მიიღებთ, თუკი ვარჯიშს ყოველდღე შეძლებთ, განსაკუთრებულ ყურადღებას კი ბურთით თამაშს დაუთმობთ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**medkarta.com**

ვაკანსიები!!!

გაზეთი ალია

სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს. ანაზღაურება 800 ლარი.

ასევე, გამოცდილ ჟურნალისტებს.

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**13 მარტი:** შეიძლება დღეს უხეშად მოგექცნენ. გულთან ახლოს არ მიიტანოთ, იუმორი გამოიყენეთ და სანანებლად გაუხდით საქმეს.

**კურო 22.04-21.05**
**13 მარტი:** აბსოლუტურად მართალიც რომ იყოთ, საეჭვოა, თქვენი აზრი ვინმემ გაითვალისწინოს. ასე რომ, თავს ზედმეტად ნუ გამოიდებთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**13 მარტი:** რაც არ უნდა გააკეთოთ დღეს, არასერიოზული იქნება. ასე რომ, თუ არ გინდათ, გული დაგწყდეთ, შეეცადეთ, ეს დღე გართობაში გაატაროთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**13 მარტი:** ყოვლისშემძლე არ ხართ, თქვენს შესაძლებლობებსაც აქვს ზღვარი. ნუ აიღებთ ყველაფერს საკუთარ თავზე, სხვებსაც მიეცით საშუალება, საქმეში ჩაერთონ.

**ლომი 23.07-22.08**
**13 მარტი:** ყველანაირი წესები, რომლებიც ზოგჯერ ცხოვრებას გიმწარებთ, დღეს შეიძლება თქვენი დაცვის მთავარ საშუალებად იქცეს, გაითვალისწინეთ ეს.

**ქალწული 23.08-22.09**
**13 მარტი:** არ დანებდეთ, თქვენ უკვე გამარჯვების ზღვარზე იმყოფებით, მთავარია, გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგათ.

**სასწორი 23.09-22.10**
**13 მარტი:** იმდენად დატვირთული ხართ ყველანაირი რესურსებით, ფეთქებადსაშიში გახდით. დღე საკმაოდ ნაყოფიერი იქნება, თუ დილითვე არ აფეთქდებით.

**მორიელი 23.10-21.11**
**13 მარტი:** სასურველია, დღეს პრეტენზიები არავის წაუყენოთ, ვინც არ უნდა იყოს ეს. მათ უსაფუძვლობას დაგიმტკიცებენ და ბოდიშის მოხდა მოგიწევთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**13 მარტი:** დღეს სხვადასხვა სახის შემთხვევითობები დიდ როლს ითამაშებს. ამ გარემოების გამო რაიმეს დაგეგმვაზე დროის დაკარგვა უაზრობა იქნება.

**თხის რქა 22.12-19.01**
**13 მარტი:** დღეს თქვენთვის რაიმე საიდუმლოს მინდობა სასურველი არ არის, როგორც არ უნდა მოინდომოთ, მათი შენახვა გაგიჭირდებათ.

**მერწყული 20.01-18.02**
**13 მარტი:** ყველაფერი, რასაც ფიქრობთ, სახეზე გექნებათ ასახული და ვერაფრის დამალვას ვერ შეძლებთ.

**თევზები 19.02-20.03**
**13 მარტი:** გარშემომყოფნი დღეს ღირსეულად შეგაფასებენ: როგორც თქვენს გარეგნობას, ისე შესაძლებლობებს და თქვენს შინაგან სამყაროს.

## პროფესიები, რომლებიც ადამიანებს ბედნიერებას ანიჭებს



შესანიშნავია და არაფერი სჯობია იმ ფაქტს, თუკი თქვენი პროფესიით მუშაობთ, ხომ გვეთანხმებით?

ჰოდა, ის თუ იცით, რომელი პროფესია ანიჭებს ადამიანებს ბედნიერებას?

თუ არ იცით, მოდით, ერთად გავეცნოთ იმ რეიტინგს, რომელიც, დაახლოებით, 10 ათასი ევროპელის გამოკითხვის შედეგად ფრანგმა სოციოლოგებმა შეადგინეს.

აღმოჩნდა, რომ საკუთარი პროფესიისგან ყველაზე დიდ ბედნიერებას პარიკმახერები და კოსმეტოლოგები იღებენ. რაც შეეხება შედარებით „არაბედნიერ" პროფესიებს, ამ მხრივ, „წარმატება" ბანკის თანამშრომლებმა და მშენებლებმა მოიპოვეს.

ამ გამოკითხვის შედეგად ერთი საინტერესო ფაქტიც გახდა ცნობილი – თურმე, საკუთარ პროფესიას, მხოლოდ კარგი ხელფასის გამო, 48 პროცენტი სცემს პატივს, დანარჩენი კი ამტკიცებს, რომ მთავარია, თანამშრომლებს შორის არსებული დადებითი ურთიერთობები და რომ არაფერი სჯობია იმას, როცა სამსახურში მისვლა გიხარია და არა პირიქით, როცა გული გიწუხს, „იმ უჟმურების" სახე რომ გახსენდება.

მოკლედ, ყველაზე „ბედნიერი" პროფესიების რეიტინგი ასე გამოიყურება:
1. კოსმეტოლოგი; 2. პარიკმახერი; 3. სამხედრო მოსამსახურე;
4. შეფ-მზარეული; 5. საცალო გამყიდველი; 6. მასწავლებელი;
7. მარკეტოლოგი; 8. ბუღალტერი; 9. მდივანი;
10. სანტექნიკოსი; 11. ინჟინერი; 12. არქიტექტორი;
13. ჟურნალისტი; 14. ავტოშემკეთებელი; 15. ძიძა;
16. ბანკირი/ეკონომისტი; 17. მშენებელი.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**top.rbc.ru**



ორი მამაკაცი რესტორანში შევიდა, აირჩია მაგიდა და ოფიციანტს მოუხმო:

– სპილოს ხორთუმის ჩაშუშული გვინდა, გარნირად კი – წიწიბურა.

– რომელს ინებებთ – ინდური სპილოს ხორთუმს თუ აფრიკულის?

– მოდი, ინდური იყოს.

ოფიციანტმა შეკვეთა ჩაიწერა, წავიდა, მაგრამ მალევე მობრუნდა:

– უკაცრავად, მაგრამ თქვენი შეკვეთის შესრულება შეუძლებელია.

– რატომ?

– წიწიბურა გაგვითავდა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა"

ალია
211359457
კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში" გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მ-4 კორპ. I სართული (ალმასიანის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.55